ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 17 ნოემბერი, 2017 №273 (7508) ფასი: 50 თეთრი

შს მინისტრის პირველი მოადგილე კახაბერ საბანაძე გახდა, მოადგილეები — ნინო ჯავახაძე და მერაბ მალანია

გვ.3

16 ნოემბრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



„კალაძემ ძალადობასა და გინებაზე კონკურსი გამოაცხადა“

გვ.3

ოპოზიცია კედელაშვილ-ჭონქაძის შეცვლას ითხოვს

სულიკო კედელაშვილი: „ვისაც რამე არ მოგეწონათ, სასამართლოში მიჩივლეთ“

მარგველაშვილის ლანძღვის ახალი სეზონი გაიხსნა

გვ.2

მიხეილ რამიშვილი: „დეკანოზმა მამალაძემ იცის, ვის „ხუშტურიკებსაა“ შეჭიდებული! მეუფე იაკობი ჩემთვის უსახელოა“

გვ.5

„ლარი ბიძინა ივანიშვილმა გააუფასურა“

ბეჟან ნათელაშვილი: „ხმას თუ არ ამოვიღებთ, შიმშილისგან გალურჯება გვიწერია“

გვ.4

ვახტანგ გომელაურმა და გერმანიის ელჩმა საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი

გვ.2

სამართალი გვ.7

რობი ღონღაძე: „მთვრალი პოლიციელები მომდევდნენ და მესროდნენ“

„საპატრულო პოლიციას უფლება არ ჰქონდა, „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულებისთვის კარვის დადგმა აეკრძალა“

უკრაინელი ადვოკატი: „მეგის ქარდავამ არც იცოდა, რა ხდებოდა იქ, რაშიც ბრალს სდებენ“

ეკონომიკა გვ.6

„ეროვნულმა ბანკმა ლარი თავისუფალ ცურვაში უნდა მიუშვას და ის წონასწორობის კურსს თავად იპოვის“

„მაქსიმალურად ვცდილობთ, ფასების მატებისგან თავი შევიკავოთ“

ბოლო 2 წელიწადში პრეზიდენტის სასახლის შენახვაზე 4,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა



ISSN 1987-9385

2 კონსტანტინე გამსახურდია: „უფრო ღრმა ნაბიჯებია საჭირო“

2 „კრასნოგორსკის მსროლელ“ ამირან გიორგაძის მძღოლი შოთა ელიზბარაშვილი რუსეთის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

4 აგენტ-პროვოკატორის მეშვეობით კახეთში რამდენიმე პირი დააკავეს

2 „კაკლის ძირში ვჭამთ საჭმელს“ — დეკანოზი ატენის სიონის ტაძართან მშენებლობაზე

მარგველაშვილის ლანძღვის ახალი სეზონი გაიხსნა

შორენა მარსაგიშვილი

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტი წყევლა-კრულვის ახალი ტალღის სამიზნე გახდება. მისი ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი დარწმუნებულია, რომ ამ დღეებში „ოცნება“ გიორგი მარგველაშვილზე იერიშს ახალი ძალით მიიტანს.

ეს დასკვნა ადმინისტრაციის უფროსმა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ გაკეთა.

ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის შენახვა-ფუნქციონირებაზე 2015-2016 წლებში 4.541.589 ლარი დაიხარჯა. ყველაზე მეტი თანხა კომუნალურმა გადასახადებმა წაიღო.

გიორგი აბაშიშვილი ფიქრობს, რომ ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მარგველაშვილის ლანძღვის ახალი სეზონი გაიხსნება.

მისი თქმით, საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი ერთადერთი უმაღლესი პოლიტიკური ინსტიტუტია, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ ვერ კონტროლდება.

– შესაბამისად, საზოგადოებისთვის ძალიან ნათელია, თუ საიდან მომდინარეობს, სად მიდის და რა მოტივაციით არის ნაკარნახევი ეს ინფორმაცია, ანალიზი და შეფასებები, – ამბობს აბაშიშვილი.

მისივე განმარტებით, ამ ხარჯებთან პრეზიდენტის ადმინისტრაციას არანაირი კავშირი არა აქვს და ეს ხარჯები დაცვის სამსახურმა გასწია. აბაშიშვილს, როგორც ის ამბობს, თავადაც აინტერესებს, რაში დაიხარჯა ეს ფული.

ადმინისტრაციის უფროსის თქმით, ამ საკითხზე ყურადღება სულ სხვა მიზნით მახვილდება:

– უბრალოდ, დაანონსდა პრეზიდენტ მარგველაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სეზონი. წარმოდგენილი ციფრები, წარმოდგენილი ხარჯები არის გაწეული სახელმწიფო დაცვის სამსახურის და არა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ. შესაბამისად, ეს ციფრები იყო სრულიად სიურპრიზი ჩვენთვის. ისევე, როგორც საზოგადოებას, ჩვენც ძალიან გვაინტერესებს თითოეული თეთრის ეფექტიანობა, რომელიც დაცვის სამსახურის მიერ არის გაწეული, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში აბაშიშვილი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „ოცნება“ და პრეზიდენტი ერთმანეთს რეზიდენციის გამო უპირისპირდებიან. მათ შორის დაპირისპირება სწორედ ავლაბრის რეზიდენციის გამო დაიწყო.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილმა ავლაბრის რეზიდენციის დატოვება მოსთხოვა, რაზეც პრეზიდენტმა უარი თქვა. ეს უარი „ოცნებამ“ ივანიშვილის და, შესაბამისად, პირად შეურაცხყოფად აღიქვა. 2014 წლის მარტიდან მოყოლებული, მეოცნებეები ხელიდან შანსს არ უშვებენ, პრეზიდენტი გალანძღონ. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული პარლამენტის სპიკერი ირაკლი კობახიძეა. მისი წინამორბედი, დავით უსუფაშვილი, ამ მხრივ ძალიან კორექტული იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნების“ რისხვის ობიექტი მარგველაშვილი, შესაძლოა, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო გახდეს. „ოცნება“ შიშობს, რომ მან შეიძლება საკუთარი კანდიდატურა დააყენოს.

კონსტანტინე გამსახურდია: „უფრო ღრმა ნაბიჯებია საჭირო“

ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **კონსტანტინე გამსახურდია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კონსტანტინე, ლარის კურსის გაუფასურების ფონზე ის სამთავრობო ცვლილებები, რომლებიც მოხდა, მაინცდამაინც ეკონომიკაზე არ იყო აქცენტირებული. რატომ, როგორ ფიქრობთ?

– ასეთი სტაგნაციის პირობებში ნებისმიერი ცვლილება მისასალმებელია, როგორიც არ უნდა იყოს ისინი. მე ვფიქრობ, რომ ამ ცვლილებების ამოცანა ცოტა სხვა რამე იყო. ეროვნული ვალუტა ვარდება ყოველდღიურად, დოლარი კი ბარათაშვილის „მერანივით“ მიქრის, უგზო-უკვლოდ მიფრინავს, როგორც პოეტი ამბობს.

მე ვფიქრობ, რომ საერთოდ უფრო ღრმა რეფორმას უნდა დაექვემდებაროს ეკონომიკის მიმართულება. ჩათვალეთ, რომ ეკონომიკა არც კი გვაქვს. მომსახურების სფერო და ტურიზმია ეკონომიკა? ტურისტული სეზონი დაიხურა და ნახეთ, ლარი კოლაფსში ჩავარდა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანას ეკონომიკა არ აქვს. ეკონომიკური აზროვნება და ეკონომიკური მიდგომები ძირეულად უნდა შეიცვალოს, ბოლო უნდა მოეღოს მონოპოლიების თარეშს, რომლებიც შევარდნაძის დროიდან მოყოლებული თარეშობენ ამ ქვეყანაში. სწორედ ეს მონოპოლიები გამორიცხავენ, რომ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ქვეყანაში რეალური ეკონომიკა განვითარდეს.

– თქვენ თქვით, რომ ამ ცვლილებებს მიესალმებით.

– რასაკვირველია, იმ ფონზე, რაც გვაქვს, იქნებ რაღაც მოხდეს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ უფრო ღრმა და რადიკალური ნაბიჯებია საჭირო. განათლების სამინისტროს მოშორდა მინისტრი, რომელიც იჩემებდა ზღაპრების ახსნას, რაც არცთუ მარტივი საქმეა, ამ ფონზე ახალ ზღაპრებს გვიყვებოდა. მართალია, ბატონ ჩხენკელს, რომელიც დაინიშნა, კარგი მეცნიერული მიღწევები აქვს, მაგრამ, გნებავთ, არისტოტელე დანიშნეთ, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, განათლებას არაფერი ეშველება. პოლიტიკური შნოა საჭირო შედეგების დასადებად, მიზნის დასახვა და შემდეგ მიზნის მისაღწევად – შრომა. ასევე საჭიროა არააბსტრაქტული აზროვნება.

– არააბსტრაქტულად აზროვნებდა ბატონი ჯეჯელავაც.

– პირიქით. ბატონი ჯეჯელავას მინისტრობა სინამდვილეში ახალი ზღაპრების გამოგონებას მიეძღვნა.

თუ განათლებაში არ ჩაიდო დიდი ინვესტიცია, ისე არაფერი გამოვა. უნდა მოხდეს სტუდენტების დაფინანსება მაღალი დონის უნივერსიტეტებში და შემდეგ ისინი ცოდნით აღჭურვილნი სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ.

„კრასნოგორსკის მსროლელ“ ამირან გიორგაძის მძღოლი შოთა ელიზბარაშვილი რუსეთის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

მოსკოვის სასამართლომ რუსეთში დაკავებული ქართველი მძღოლი უდანაშაულოდ ცნო. შოთა ელიზბარაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

გამოძიება მას გახმაურებულ მკვლელობაში თანამონაწილეობას სდებდა ბრალად. საუბარია 2015 წლის 19 ოქტომბერს მომხდარ დანაშაულზე, რომელშიც ქართველი ბიზნესმენი ამირან გიორგაძე ფიგურირებდა. სწორედ გიორგაძის პირადი მძღოლი იყო დაკავებული შოთა ელიზბარაშვილი.

2015 წელს გიორგაძე კრასნოგორსკის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იური კარაულოვთან კაბინეტში იმყოფებოდა. მათ კრასნოგორსკის ელექტროქსელების ხელმძღვანელი გიორგი კოტლიარენკო შეუერთდა. სავარაუდოდ, მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რის შემდეგაც გიორგაძემ ცეცხლსასროლი იარაღით ორივე მათგანი სასიკვდილოდ დაჭრა. გაქცევისას შემთხვევით გამვლელი კაციც მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

მოგვიანებით ამირან გიორგაძეს რუსულმა მედიამ „კრასნოგორსკელი მსროლელი“ შეარქვა.

იმავე დღეს გიორგაძის ბინაში მოკლული იპოვეს მისი ბიზნესპარტნიორი ტრისტან ზაქაიძე.

დანაშაულის ჩადენის მომენტში დაკავებული მძღოლი გიორგაძესთან ერთად იმყოფებოდა. ის პოლიციას თავად ჩაბარდა.

შოთა ელიზბარაშვილმა საგამოძიებო იზოლატორში 2 წელი გაატარა.

ვახტანგ გომელაურმა და გერმანიის ელჩმა საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჰაიკე ფაიჩიმ „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუს-იდან აცნობეს, შეთანხმების ხელმოწერა მიზნად ისახავს მხარეებს შორის თანამშრომლობის პროცესში გაცვლილი და შექმნილი საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივად დაცვის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიის მიერ საერთო თუ მსოფლიო გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების მოხდენას.

– ამასთან, შეიქმნება მყარი სამართლებრივი საფუძველი ორ ქვეყანას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის კუთხით როგორც უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით, ასევე, საგარეო ურთიერთობებისა და სხვა სფეროებში. უწყების ინფორმაციით, შეთანხმების ხელმოწერა ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„კაკლის ძირში ვჭამთ საჭმელს“ – დეკანოზი ატენის სიონის ტაძართან მშენებლობაზე

– ამ მშენებლობის საჭიროება იმიტომ იყო, რომ მონასტერში არ არის საცხოვრებელი კელიები, არც აბაზანა გვაქვს, არ არის სამზარეულო და სატრაპეზო, კაკლის ძირში გვაქვს გაშლილი მაგიდები და იქ ვჭამთ საჭმელს, – აცხადებს ატენის სიონის მე-7 საუკუნის I ნახევრის ტაძართან მიმდინარე მასშტაბურ მშენებლობაზე მონასტრის წინამძღვარი დეკანოზი კოზმა.

მისივე თქმით, იქ, სადაც ახლა მშენებელობა მიმდინარეობს, ადრე შენობები არსებობდა და ნანგრევები იყო შემორჩენილი.

– შენობა ორ კლდეს შორის არის მოქცეული და არსაიდან არ ჩანს. თუ აქ არ ამოხვედით, შენობას ვერ დაინახავთ და ვერტმფრენიდანაც რომ გადაუღოთ, შენობა საერთოდ არ გამოჩნდება, რადგან ისე გადავხურავთ, რომ ზემოდან ბალახი იყოს საერთოდ ვერ შეამჩნევთ რა არის, – ციტირებს ქართლი.გე დეკანოზის კომენტარს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ატენის სიონის ტაძართან მიმდინარე მშენებლობა მოქმედ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

სააგენტო განმარტავს, რომ ტაძართან სამონასტრო ინფრასტრუქტურისთვის საჭირო მცირე ზომის ნაგებობა შენდება, რაც კელიების, სატრაპეზოსა და დამხმარე საყოფაცხოვრებო სათავსოების მოწყობას გულისხმობს. „ეს პროცესი ატენის სიონის მონასტრის აღდგენის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 2006 წელს გამოცემული ბრძანების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც 1974 და 2009 წლებში ადგილზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი ადრეული კელიების საძირკვლის ნაშთების გათვალისწინებით, ისტორიულ კონტექსტს აღადგენს.

ინფრასტრუქტურული ნაგებობის პროექტი საბოლოო სახით 2016 წელს დამტკიცდა, რაზედაც სააგენტომ შესაბამისი ნებართვა გასცა. პროექტში, რომელიც 9 წლის განმავლობაში იხვეწებოდა, გათვალისწინებულია დარგის სპეციალისტების მიერ ადრე გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც მის მასშტაბსა და გარეგნულ იერსახეს უკავშირდებოდა.

მისი სამშენებლო მასალები, კედლის წყობის ხასიათი, ფერი, გადახურვის საფარის წყობა და სხვა არქიტექტურული ელემენტები მაქსიმალურადაა შერწყმული ადგილობრივ ლანდშაფტთან.

მონასტრის ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებული ნაგებობები თავსდება კომპლექსის ისეთ პერიფერიულ ზონებში, რომლებიც ვიზუალურად ნაკლებად კითხვადია და არ არღვევს ჩამოყალიბებულ სილუეტებს. ადგილზე არსებული არქეოლოგიური ნაშთების შინაარსობრივი რეკონსტრუქციით კი აღდგება ატენის სიონის სამონასტრო ცხოვრების ისტორიული კანონზომიერება“, – განაცხადეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

უწყების ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროექტის განვითარება არათუ არღვევს დადგენილ ნორმებს, არამედ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე ზრუნვის საქმეში საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობის მისაბაძ მაგალითს ქმნის, რომელიც სამომავლოდ, ატენის სიონის სამონასტრო კომპლექსის გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძემ ძალადობასა და გინებაზე კონკურსი გამოაცხადა“

ოპოზიცია კედელაშვილ-ჭონქაძის შეცვლას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის ახალი მერი სკანდალში გაეხვია. კახა კალაძეს ოპოზიცია მერიის საქალაქო სამსახურის უფროსად ნუგზარ ჭონქაძის დანიშვნის გამო აუმხედრდა. ჭონქაძეს საზოგადოება სულიკო კედელაშვილის სახელით იცნობს. ის ფეისბუქის აქტიური მომხმარებელი გახლდათ და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს დედასა და პარტიულ ლიდერებს აგინებდა. მის მიერ უხამსი სიტყვებით გაფორმებული პოსტები არანაციონალებსაც ეხებოდათ.

დედაქალაქის საკრებულოში ჭონქაძე-კედელაშვილის გარშემო პოზიციამ და ოპოზიციამ განსხვავებული პოზიციები დააფიქსირეს.

მეოცნებეები კალაძის საკადრო მიგნებებით აღფრთოვანებული არიან და უსაფრთხოების სამსახურის უფროსიც მოსწონთ.

სხვათა შორის, ჭონქაძესთან მედიამ რამდენჯერმე ცადა კომენტარის ჩაწერა, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურის საქალაქო სამსახურის უფროსი ამბობს, რომ არ სცალია.

საკრებულოში თავმოყრილი ნაციონალები აცხადებენ, რომ სიძულვილის ენით მოსაუბრე ადამიანი საქალაქო სამსახურს არ უნდა ხელმძღვანელობდეს.

– ეს ადამიანი გამოირჩევა თავისი ქსენოფობიური და ჰომოფობიური განცხადებებით. ეს არის ადამიანი, რომელიც გამოირჩევა სიძულვილის ენითა და განსაკუთრებული აგრესიულობით ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ, ყველა იმ ოპოზიციური პარტიისა და წევრების მიმართ, რომლებიც ხელისუფლებისგან განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობისა და მისი წევრების მიმართ.

ამ ადამიანის დანიშვნა თანამდებობაზე ნიშნავს, რომ არანაირი კონსტრუქციული დიალოგი ოპოზიციასთან არ იქნება. ეს ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს კვლავ არ შეუშვებენ თბილისის მერიაში, კვლავ არ შეუშვებენ საკრებულოსა და პარლამენტის დეპუტატებს, საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოში, გამოაძევებენ საკრებულოს დეპუტატებს სხდომათა დარბაზიდან; ეს ნიშნავს იმას, რომ მათ შორის ჟურნალისტებს შეექმნებათ პრობლემები, თავისუფლად გადაადგილდნენ საკრებულოსა და მერიის შენობაში, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი ვახტანგ შაქარიშვილი აცხადებს, რომ ყოფილ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, სხვის ზონდერობაზე ილაპარაკოს.

– პოსტზონდერისტულ ეპოქაში ვინმეს ზონდერობაზე საუბარი არასერიოზულია, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება წარსულში ვინმეს ფეისბუქ ექაუნთში გამოთქმულ მოსაზრებებს, – ამბობს შაქარიშვილი.

ხელქვეითი დედაქალაქის მერმაც დაიცვა. მან ოპოზიციასთან შეხვედრაც არ მოისურვა და განაცხადა, რომ ჭონქაძის კანდიდატურას არავითარ შემთხვევაში არ შეცვლის.

ის დარწმუნებულია, რომ მისი კადრი დაკისრებულ მოვალეობებს თავს კარგად გაართმევს.

– ნუგზარ ჭონქაძეს მინდა წარმატებები ვუსურვო. უსაფრთხოების სამსახური ძალიან მნიშვნელოვანი სამსახურია და, დარწმუნებული ვარ, ის გაართმევს თავს ამ დაკისრებულ ვალდებულებას, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კალაძეს საერთოდ არ აინტერესებს, ვის და რამდენ ბრუნვაში აგინებდა ჭონქაძე კედელაშვილობისას. კალაძემ იცის, რომ ამ ადამიანს კარგი თამადობა შეუძლია და ჟამიდან ჟამზე ეროვნულ სამოსსაც ატარებს.

– რა დააშავა ადამიანმა? რა წარსული აქვს ამ ადამიანს?! წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, წლების განმავლობაში მუშაობდა საფინანსო პოლიციაში, წლების განმავლობაში იყო „პროგრეს ბანკის“ უსაფრთხოების ხელმძღვანელი. სხვა რომელ წარსულზე მელაპარაკებით? არის ჩოხოსანი, არის კარგი თამადა, – აცხადებს მერი.

კახა კალაძის განცხადებებმა ნაციონალები სულ გადარია. ყოფილი ხელისუფლება ამბობს, რომ მერმა იცრუა, როცა თქვა, ოპოზიციასთან ვითანამშრომლებო.

საკრებულოს წევრი, ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი, კალაძეს, ჭონქაძის გარდა, სხვა საკადრო ცოდვებსაც ახსენებს. დეპუტატს აინტერესებს, რატომ დატოვა ახალმა მერმა ნარმანიას კადრები. ჭონქაძის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დანიშვნას ის თბილისელების შეურაცხყოფად მიიჩნევს.

– გარდა იმისა, რომ კალაძემ ნარმანიას მთავრობის 70% დაიტოვა და თბილისელებს გვითხრა, სოციალური, ინფრასტრუქტურული, ტრანსპორტის პრობლემები გელანდებათ, თორემ ეს ხალხი 3 წელია კარგად მუშაობდა და ამიტომაც ვიტოვებ, პლუს გამგეობებიც „კრამიტებს ამტვრევდნენ“, უბრალოდ, ნარმანიას პიარი არ უვარგოდა და ამიტომაც „მარტო“ ამათ ვცვლიო.

ამ ყველაფერს ემატება ის, რომ, ფაქტობრივად, ძალადობის წამხალისებელი, თავად აგრესიული, ლანძღვა-გინებით ცნობილი დანიშნა სამსახურის უფროსად და ამით კალაძემ მწვანე აუნთო სიძულვილის ენას, დაპირისპირებასა და ფაქტობრივი კონკურსი გამოაცხადა ძალადობაზე, ლანძღვა-გინებაზე.

წარმოდგენილი მთავრობა და განსაკუთრებით ეს ტიპი თბილისელების შეურაცხყოფაა. ოპოზიციასთან ვითანამშრომლებო და პირველი შეთავაზებაზე შეხვედრაზე უარი განაცხადა, – თქვა მედიასთან საუბარში გაცეცხლებულმა ხაბეიშვილმა.

ჭმუნვაში ჩაცვივდნენ ნაციონალებს გამოყოფილი ევროპელი ქართველებიც. ჭონქაძე-კედელაშვილს ამ პარტიის წევრებისთვის არაერთი „შედევრი“ აქვს მიძღვნილი.

საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი მიიჩნევს, რომ კალაძე ქართული მარშის იდეოლოგიის მატარებელია და ის ჭონქაძეს დაიცავს.

დეპუტატის თქმით, სიძულვილის ენით მოსაუბრის ჩოხითა და კარგი სადღეგრძელოებით შეფუთვა სასაცილოა.

– კალაძისგან ნორმალური ნაბიჯი იქნება, თუ ის გადაიფიქრებს მისივე გადაწყვეტილებას, მაგრამ მე არ მაქვს ილუზია, რომ მან რამე არ იცოდა და დღეს გაიგო. თუ შეცვლის თავისივე გადაწყვეტილებას და თავის თავს რაღაც ზღვარს დაუდებს კადრების არჩევანში, რომ რაღაც ეთიკის პრინციპები, ზრდილობა, საოცარი ქსენოფობია და საოცარი აგრესიულობა და აბსოლუტური არაცივილიზებულობა თუ მისთვის საზოგადოებრივი რეაქციის ფონზე მაინც იქნება საფუძველი გადაწყვეტილების შეცვლის, ეს კარგი იქნება, მაგრამ, არა მგონია. დარწმუნებული ვარ, ამას არ გააკეთებს, იმიტომ რომ მის შიგნით არის ის, რასაც ძალიან უხეში და უზრდელური ფორმით ასეთი საგანგებო დავალების ტიპაჟები აკეთებენ. ეს არის კალაძის არსი შიგნით.

ნუ მოგვატყუებს ის, რომ კალაძე, როგორც საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენელი, არ გააკრიტიკებს კაშიას და დაიცავს. ეს ნუ მოგვატყუებს. ის ჩვეულებრივი ქართული მარშის იდეოლოგიის გამზიარებელია და ამ ყველაფრის შეფუთვა თამადობასა და ჩოხაში სასაცილოა, – განაცხადა ტვ პირველთან საუბარში გაბაშვილმა.

სულიკო კედელაშვილი: „ვისაც რამე არ მოგეწონათ, სასამართლოში მიჩივლეთ“

გუშინ საღამოს სულიკო კედელაშვილმა, იმავე ნუგზარ ჭონქაძემ, რომელსაც ოპოზიცია სოციალური ქსელში ქსენოფობიური განცხადებების გაკეთებას აბრალებს, მედიასთან კომენტარი პირველად გააკეთა.

სულიკო კედელაშვილი ადასტურებს, რომ მას თამაზ თამაზაშვილთან ნაცნობობა აკავშირებს.

– მე ვმუშაობდი უსაფრთხოების სამსახურში. დიახ, ვიცნობ თამაზ თამაზაშვილს, – განაცხადა ჭონქაძემ რუსთავი 2-თან საუბრისას.

მისი თქმით, აღნიშნულ თანამდებობაზე რეკომენდაცია კახი კალაძემ გაუწია.

რაც შეეხება სოციალურ ქსელს, ჭონქაძე აღნიშნავს, რომ გვერდი საზოგადოებისთვის შეიქმნა, რადგან მათ ხისტი განცხადებების გაკეთება ესაჭიროებოდათ.

– ეს გვერდი შეიქმნა 2010 წელს, მაშინდელი რეალობიდან გამომდინარე, რომელიც ჰქონდა სახელმწიფოს და რა სიტუაციაც სუფევდა, ის ძალადობა, რომელზეც ახლა ძალიან ბევრი საუბრობს, მაშინ ვერ საუბრობდა, იყო ასეთი შეზღუდვები და საზოგადოებას სჭირდებოდა რამე ისეთი ხისტი გვერდი, რომელიც თავის პოზიციას დააფიქსირებდა.

ეს ყველაფერი, რასაც ახლა აჟიტირებს პრესა, აჟიტირებენ პოლიტიკური პარტიები, იყენებენ თავისთვის, ყველაფერი ფარსი და ყველაფერი მოგონილია. ეს გვერდი შეიქმნა ამისთვის, საზოგადოებისთვის, რომელსაც სჭირდებოდა ასეთი ხისტი პოზიციის დაფიქსირება და ვერ აფიქსირებდა. მარტო მე კი არ ვაფიქსირებდი, იქ ძალიან ბევრი კომენტარებში აფიქსირებდა თავის აზრებს. თუ რომელიმემ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, შეუძლია მიბრძანდეს სასამართლოში და სამართლებრივად გავარჩიოთ ეს საქმე, – განაცხადა ნუგზარ ჭონქაძემ.

ის ამბობს, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური დაცვის სამსახურში 1995 წლიდან 2007 წლის ჩათვლით მუშაობდა, შემდეგ კი კერძო სტრუქტურაში, „პროგრეს ბანკში“ იმავე განხრით განაგრძო მუშაობა.

ოპოზიცია კახა კალაძეს მისი სხვა კანდიდატურით შეცვლას სთხოვს. თბილისის მერი კი გადაწყვეტილების გადახედვას არ აპირებს.

ნიუპოსტი

შს მინისტრის პირველი მოადგილე კახაბერ საბანაძე გახდა, მოადგილეები – ნინო ჯავახაძე და მერაბ მალანია

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი გახარიამ მოადგილეები დანიშნა.

პირველი მოადგილის თანამდებობა კახაბერ საბანაძემ დაიკავა.

კახაბერ საბანაძე საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტია. 2017 წლის მაისიდან იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. 2015-2017 წლებში კახაბერ საბანაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო. 2008-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობაზე. 2006-2008 წლებში იყო საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული სამმართველოს უფროსი და ამავე სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2004-2006 წლებში – საქართველოს შსს-ს კონტრტერორისტული დეპარტამენტის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ნინო ჯავახაძე დაინიშნა.

იგი ეკონომიკის მაგისტრია. 2013-2015 წლებში ნინო ჯავახაძე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების, რეფორმებისა და განვითარების, სტრატეგიული კომუნიკაციების, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებებს და შსს-ს აკადემიას.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობას განაგრძობს მერაბ მალანია.

ნინო ჯავახაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში უხელმძღვანელებს საერთაშორისო ურთიერთობების, ლაპარაკებელი ჯგუფის წევრი. 2016 წლის ნოემბრიდან ნინო ჯავახაძე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ნინო ჯავახაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაჭრობის მოლაპარაკებების სამმართველოს უფროსი, ეკონომიკური საბჭოს აპარატის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი და ეკონომიკური საბჭოს მდივნის მოადგილე, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მომზადებაზე პასუხისმგებელი.

იგი პროფესიით სამართალმცოდნეა და შსს-ში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მერაბ მალანია იკავებდა შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის, ასევე, შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობას. 2016 წლიდან იგი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

მერაბ მალანია უწყებაში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს, ობიექტების დაცვის დეპარტამენტს, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტს, მიგრაციის დეპარტამენტს და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კურირებს.

ნიუპოსტი

„ლარი ბიძინა ივანიშვილმა გააუფასურა“

ბეჟან ნათელაშვილი: „ხმას თუ არ ამოვიღებთ, შიმშილისგან გალურჯება გვიწერია“

შორენა მარსაგიშვილი

რა კავშირი აქვს ლარის კურსის ცვლილებას კლიმატურ პირობებთან, ვინ არის ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე პასუხისმგებელი, რატომ უნდა შეიჭამოს ის თაგვი, რომელიც კატას გამოთხრის? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი **ბეჟან ნათელაშვილი** ესაუბრება.

– ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით უამრავი ვერსია მოვისმინეთ. ირაკლი გილაურმა პირდაპირ საოცრება თქვა. მისი თქმით, ლარი მას შემდეგ დაიწყებს გამყარებას, როცა აცივდება. ამაზე რას ფიქრობთ?

– ბატონი გილაური ფიქრობს, რომ ეროვნული ვალუტა სითბოში ვარდება და სიცივეში მყარდება? ამ სისულელეზე რა უნდა გიპასუხოთ. ამათ რომ ვუსმენ, ასე მგონია, რომ სისულელეების თქმაში შეჯიბრება აქვთ გამოცხადებული. რადგან ასე უნდათ ეს სისულელეები, ერთ ვერსიას მეც შევაშველებ – 15 ნოემბრის ღამით მიწა იძრა და ჩვენთან ერთად ლარიც შეაქანა. ამ შექანების შემდეგ ლარი დაბლა დაეშვება, ოღონდ მანამდე ცოტა ხანს კიდევ ზევით-ზევით ირბენს.

ეს შეფასებები უკვე მარაზმში გადადის, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა – ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს. ამაზე კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ ხალხი ლარის გაუფასურებას მშვიდად ხვდება. ეს სიმშვიდე მათ მომავალში ძალიან ძვირად დაუჯდებათ. ამ შემთხვევაში ცხოვრების გაძვირებას არ ვგულისხმობ მხოლოდ.

იმ ადამიანებს, რომლებიც ახლა მშვიდად არიან, მომავალში შვილები აუცილებლად მოჰკითხავენ. ჰკითხავენ, სად იყავი მაშინ, როცა ქვეყანა თავზე გემხობოდაო. ეჭვი მაქვს, ბევრი ვარლამ არავიძის ბედს გაიზიარებს. აბელმა სად ისროლა ვარლამი, ეს ყველამ ვიცით გენიალური ფილმიდან „მონანიება“.

ძალიან რთული სიტუაციაა, მაგრამ ხელისუფლება კიდევ უფრო გაართულებს. მას ამის უფლება ხალხმა მისცა.

– რისი უფლება მისცა ხალხმა, ცხოვრება გაგვირთულეო?

– აბა სხვა რა ვუწოდო ხალხის დამოკიდებულებას. აბედვინებენ და ამიტომაც ბედავს „ოცნება“. არჩევნების წინ ლეიბორისტები ვაფრთხილებდით საზოგადოებას, რომ არჩევნების მეორე დღესვე დაიწყებოდა ლარის ვარდნა. ეს პროგნოზი ახდა. ახლა დენზე, გაზზე, საწვავსა და პროდუქტებზე ელოდეთ ფასების ზრდას.

ჩვენი გაფრთხილება ყურად არავინ იღო და, ძველი ქართული ანდაზისა არ იყოს, თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო. თაგვი, როდესაც კატას გამოთხრის, უნდა შეიჭამოს. გამოთხარა ხალხმა „ოცნება“ და ახლა „ოცნება“ ჭამს ხალხს.

ვერაფრით გაიგო ჩვენმა მოსახლეობამ, რომ იმ ტოტის მოჭრა არ შეიძლება, რომელზეც ზიხარ. არჩევნების შემდეგ შექმნილმა ვითარებამ ნოდარ დუმბაძის მარადისობის კანონი გამახსენა. იქ არის ასეთი მომენტი, ღორს კოდავს იოანა ორაგველიძე. ამ უბედურს იტყუებს სიმინდის მარცვლებით. იქ სიპიტოს ძალიან სხარტი კომენტარია – რაცხა ორი სიმინდის კაკალის გულობიზა რავა ოქროსავით კაკლებს კარგავ, შე უბედურო.

არჩევნებზეც 2 კაკალი სიმინდით, უფრო ზუსტად 15 ლარით მიიტყუეს ხალხი არჩევნებზე. ფულს, გავაგასიებული კოორდინატორი ქალები სიების მიხედვით ურიგებდნენ ამომრჩეველს.

– ამ მეტსახელის გამო შეიძლება გიჩივლონ.

– ვერ მიჩივლებენ. ღმერთი, რჯული, ამ ქალებისთვის ეს სახელი მე არ შემირქმევია. ლარს ვერც ყინვა უშველის და ვერც მიწის შექანება. გამოსავალი მხოლოდ ხალხის აქტიურობაშია. საზოგადოება კი რას აკეთებს? შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

– რა შეცდომებს უშვებს ხალხი?

– რომელი ერთი ჩამოვთვალო. საბედნიეროდ, არის ისეთი ხალხიც, რომელმაც არჩევნებზე ფულის აღება არ ისურვა. არჩევნები რომ არ გაეყალბებინათ, საკრებულოში რამდენიმე ოპოზიციური ძალა შევიდოდა. ჩვენ, ლეიბორისტებს, 9% გვაქვს აღებული მარტო თბილისში.

ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თბილისის საკრებულოში არ შესულიყო ჩვენი დეპუტაცია. განსაკუთრებით მიშკა ქუმსიშვილის ეშინოდათ.

– თქვენი ქუმსიშვილი დიმიტრი ქუმსიშვილის რა არის?

– არაფერი არ არის. ისინი, უბრალოდ, მოგვარეები არიან. მიშკა მაგარი ბიჭია, საოცრად სხარტი გამოსვლები აქვს.

– ეტყობა, მოგვარეს ჰგავს, მის მიერ ნათქვამი ბღუჯა-ბღუჯა დღემდე პოპულარულია.

– პოპულარული იქნება, აბა რა. ამ ხელისუფლების წყალობით ერთი დოლარი ბღუჯა ლარი ღირს უკვე.

– მოდით, ლარს თავი დავანებოთ, დიდი ქუმსიშვილი ისედაც ამბობს, სტატუსებმა და სტატიებმა გააუფასურაო. ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, რომ ხალხმა კატა გამოთხარა. აშკარაა, რომ ახლა ხელისუფლება თხრის კატას.

– კატა, ფაქტობრივად, გამოთხრილი ჰყავთ მაგათაც. იყო ასეთი ფეისბუქწინმკლავი სულიკო კედელაშვილი. ეს ადამიანი თავისი მყრალი ენით გამოირჩეოდა და ის დანიშნეს ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის უფროსად. ამ პიროვნებამ მე სამი წლის წინ დამბლოკა.

– რატომ დაგბლოკათ?

– ფეისბუქზე გადავიკვეთეთ და ჩემგან კვადრატში მიიღო გინება.

– გინებაში აჯობეთ კედელაშვილს? ყოჩაღ თქვენ!

– ეს კარგი საქციელი არ არის, მაგრამ მან დამსახურებულად მიიღო. ქოცების გარდა, ყველას აგინებდა. ამან როგორ უნდა დაიცვას ქალაქის უსაფრთხოება. ასეთი კადრებით ხელისუფლება ცუდად დაასრულებს.

ლეიბორისტები იმით ვართ ამაყები, რომ არც ივანიშვილის მონები არ გავხდით და არც ზებრებად და პინგვინებად ვიქეცით. ამიტომ გვებრძვიან ასე გამწარებით, რომ მაგრები ვართ.

– მაგრები ვართო, მაგრამ გაქცეულ ლარს ვერც თქვენ ეწევით.

– ვერც დავეწევით. ამ საქმეში ხალხი ძალიან ინერტულია.

– ის ხალხი რატომ არ გამოგყავთ ქუჩაში, ვინც თქვენ ხმაა მოგცათ?

– ისინიც ინერტულები არიან. მართალია, ხმა მოგვცეს, მაგრამ, როცა ქუჩაში გამოსვლა და ძალის დანახვებაა საჭირო, სახლში რჩებიან. ხალხის ძალა ნებისმიერ ბინძურ ხელისუფლებას უკან ახევინებს.

ხალხი ივანიშვილის რეზიდენციას რომ მიადგეს, ჩათვალეთ, ლარი მეორე დღესვე დასტაბილურდება. ვიღაცები ცდილობენ, რომ ყოფილი პრემიერის სახელი დაგვავიწყონ. თბილისში რამდენჯერმე დაიწყეს აქცია კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. არადა, ეს საწყალი კვირიკაშვილი ერთი ჩვეულებრივი მარიონეტია.

ლარის გაუფასურებაზე მთავრობას კი არა, ბიძინა ივანიშვილს უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

– ივანიშვილმა გააუფასურა ლარი?

– აბა, ვინ გააუფასურა? არჩევნების წინ დიდი ფული დახარჯა და ხომ უნდა ამოიღოს. არჩევნების წინ რამდენი ბილბორდი იყო თბილისში, საიდანაც შემოულაწუნე მამაოს სახეებით გვიყურებდნენ „ოცნების“ კანდიდატები. ამ ბილბორდებს ხომ თანხა უნდოდა.

კოორდინატორი ქალების დარიგებული ფულიც ხომ ასანაზღაურებელია. ამიტომაც გააქცია ივანიშვილმა ლარი. ამოიღებენ ამ ფულს და ოდნავ დაწყნარდებიან. ბოლომდე მათი დაწყნარება არ მოხდება. ამის იმედი არ გქონდეთ.

ზედმეტად ოპტიმისტებს ერთი ძველი ლეგენდა მინდა გავახსენო. ხალხის აზრის გასაგებად მეფე ქუჩაში გავიდა, მათხოვრის ფორმაში გადაცმული სამათხოვროდ დაჯდა. რამდენიმე დღის შემდეგ ვეზირებმა მიაკითხეს, რით ვერ გაიგე, როგორ ცხოვრობს ხალხი, წამოდი და სახელმწიფოს უხელმძღვანელეო.

მეფემ ვეზირები გაყარა, უთხრა, მეფედ ვინც გინდათ, ის აირჩიეთ, მე აქ იმდენი ფული ვიშოვე, აღარ მინდა სახელმწიფოს მართვა. ფულმა შეჩვევა იცის და ეს მეოცნებეებიც ვეღარ ძღებიან. საერთოდ არ აინტერესებთ, ამათი მადა ხალხს რომ აუფასურებს.

– თქვენი აზრით, სადამდე გაგრძელდება ლარის გაუფასურება?

– ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ ხელისუფლება ბუნტს არ დაინახავს. ისეთი მასშტაბით მიდის პროცესები, რომ მალე 1 დოლარი 4,1 თეთრი ეღირება. ამათ ძალიან უყვართ სიმბოლოები. ავტობუსები და ნაგვის ურნები გაალურჯეს და ხმას თუ არ ამოვიღებთ, შიმშილისგან გალურჯება გვიწერია.

აგენტ-პროვოკატორის მეშვეობით კახეთში რამდენიმე პირი დააკავეს

ახალი ამბების სააგენტო „რეგინფოს“ ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა აგენტ-პროვოკატორის მეშვეობით, რომელიც 50 წლამდე ასაკის ქალია, კახეთში რამდენიმე პირი დააკავეს. ერთ-ერთი დაკავებული ახმეტაში მცხოვრები 34 წლის რიჩარდ შაშიაშვილია, რომელიც ახმეტაში, რუსთაველის გამზირზე, კომპიუტერული და ფოტომომსახურების სერვისს ამუშავებდა.

დაკავება 15 ნოემბერს მოხდა. რიჩარდ შაშიაშვილის ოჯახის წევრების თქმით, 2 დღის წინ, საღამოს, რიჩარდს უცნობმა ქალმა დაურეკა და უთხრა, რომ კომპიუტერული მომსახურება სჭირდებოდა. „რიჩარდს თავისი ტელეფონის ნომერი ოფისის კარზე აქვს გაკრული. მანქანის ხელოსანთან იყო. იმ ქალმა სთხოვა, იქნებ დამეხმარო, აქაური არ ვარ და დოკუმენტების ამობეჭდვა მჭირდებაო. ჩემი მეუღლე ოფისში მივიდა. ამ ქალმა უთხრა, რომ ახმეტაში არაყი იყიდა და რეალიზაციისთვის მარკები სჭირდებოდა, რომელიც მეხსიერების ბარათზე ჰქონდა ჩაწერილი. რიჩარდს შესაბამისი ქაღალდი არ ჰქონდა. უთხრა, რომ მეორე დღეს თბილისში მიდიოდა და ქაღალდსაც შეიძენდა. ამ ქალმა წინასწარ გადაუხადა 100 ლარი. მესამე დღეს რიჩარდმა ყველაფერი გაამზადა და დაურეკა, რომ წაეღო. ქალი ოფისიდან გავიდა თუ არა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ და რიჩარდი დააკავეს“, – უთხრა „რეგინფოს“ დაკავებულის ცოლმა.

„რეგინფოს“ ინფორმაციით, იმავე აგენტ-პროვოკატორის მეშვეობით, ყალბი აქციზური მარკების დამზადება-რეალიზაციის ბრალდებით, ბოლო დღეებში კიდევ რამდენიმე პირი დააკავეს. ამ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახურის კახეთის სამმართველოს უფროსის მოადგილე არ ადასტურებს.

– რიჩარდ შაშიაშვილის დაკავებას ვადასტურებთ. დანაშაული ჩაიდინა და იმიტომ დავაკავეთ. ის ქალი ჩვენი აგენტი არ არის. ყალბი ფულის ბეჭდვა როგორც არ შეიძლება, ისევე არ შეიძლება ყალბი აქციზური მარკის ბეჭდვა და რეალიზაცია. იცოდა თუ არ იცოდა ეს ნორმა, კანონის არცოდნა არ არის არცოდვა, ასეთი დანაშაულის – მით უმეტეს. სანამ დანაშაულს ჩაიდენდა, შეეძლო გაერკვია. მოხდა ყალბი აქციზური მარკების დამზადება და მისი რეალიზაცია, – განუცხადა „რეგინფოს“ საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ.

რიჩარდ შაშიაშვილის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 200 პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენებას. დანაშაული ორიდან ოთხ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რიჩარდ შაშიაშვილი ახმეტაში ნაქირავებ ბინაში მეუღლესთან და 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე თელავის რაიონული სასამართლო ხვალ იმსჯელებს. დაკავებული თელავის იზოლატორშია მოთავსებული.

დადასტურებული ინფორმაციით, იგივე ქალი, რომლის მეშვეობითაც რიჩარდ შაშიაშვილი დააკავეს, საგამოძიებო სამსახურის სხვა საქმეებშიც ფიგურირებს.

C ჰეპატიტის ვირუსზე ლუგარის ლაბორატორიაში მცდარი დიაგნოზი დაისვა



თბილისში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში C ჰეპატიტის ვირუსზე HCV RNA, VL ტესტით ჩატარებული ე.წ. PCR კვლევის შედეგად, მოქალაქეს პირველად დადებითი, ხოლო განმეორებით უარყოფითი დიაგნოზი დაუსვეს.

როგორც „ნიუპოსტს“ ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა თინა თოფურიამ განუცხადა, C ჰეპატიტის ვირუსზე ჩატარებული კვლევისას დადებითი პასუხის შემდეგ ყოველთვის კეთდება განმეორებითი ტესტი. ამის შემდეგ აღმოჩენილი უარყოფითი პასუხის დროს კი პაციენტის შემთხვევაში მაინც არის ვირუსი, რომელიც საშიშროებას არ წარმოადგენს.

– C ჰეპატიტის ვირუსზე ჩატარებული კვლევის დროს არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც სწრაფი ტესტით არის გაკეთებული. ხშირ შემთხვევაში, სწრაფი ტესტი, პირველად აღების დროს დადებით პასუხს იძლევა, ამიტომ ყველა შემთხვევაში ხდება პაციენტის გაფრთხილება და ურჩევენ განმეორებით ტესტს – ძირითადი დამადასტურებელი ანუ კომფორმაციული ტესტი, რომელიც აჩვენებს არის დადებითი თუ უარყოფითი პასუხი. თუ პაციენტს ნამკურნალები აქვს, არის ანტისხეულები და აჩვენებს სწრაფი ტესტის დროს დადებით პასუხს.

გადამოწმების დროს უარყოფითს აჩვენებს, ანუ ვირუსი აღარ არის. ან მეორე ვარიანტია – ადამიანს აქვს ვირუსი, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს ვირუსი C ჰეპატიტის, მაგრამ ის არ მრავლდება და საშიშროებას არ წარმოადგენს, დაავადების განვითარება არ ხდება. ასეთი პასუხის შემთხვევაში პაციენტმა წელიწადში ორჯერ მაინც უნდა გაიკეთოს განმეორებით ეს ტესტები, უნდა იყოს ყურადღებით, რადგან მის ორგანიზმში სავარაუდოდ ეს ვირუსი არის. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ლუგარის სახელობის ლაბორატორია საქართველოში საკმაოდ წარმატებულია და ასეთი შემთხვევა რატომ მოხდა, არ ვიცი, – აღნიშნა თინა თოფურიამ.

მიხეილ რამიშვილი: „დეკანოზმა მამალაძემ იცის, ვის „ხუშტურიკებსაა“ შეჭიდებული! მეუფე იაკობი ჩემთვის უსახელოა“

მედია და საზოგადოება საუკუნის სკანდალს გამადიდებელი შუშით აკვირდება. ციანიდის საქმე უკვე სააპელაციო სასამართლოშია – დაცვის მხარე 6 დეკემბრიდან შეეცდება, მოსამართლეთა კოლეგია დაარწმუნოს, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე მსხვერპლია და არა – რეალური დამნაშავე, როგორც ეს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა.

6 დეკემბრამდე არცთუ დიდი დროა და ვნახოთ, რა განაჩენს გამოიტანს სააპელაციო სასამართლო. მანამდე კი დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სახალხო დამცველის დასკვნამ, რომელიც უჩა ნანუაშვილმა გუშინ გამოაქვეყნა.

ნანუაშვილის უწყებამ წინასწარი გამოძიების დროს არსებული დარღვევები შეისწავლა და, ასევე მონიტორინგს უწევდა სასამართლო სხდომებს.

დოკუმენტში ომბუდსმენი მიუთითებს, რომ ყველაზე მეტი პროცესუალური დარღვევა წინასწარი გამოძიებისას დაფიქსირდება, თუმცა მათი გამოსწორება საქმის სასამართლოში განხილვისას არ მომხდარა.

სახალხო დამცველი ანგარიშში ხაზგასმით ამბობს, რომ მთელი პროცესის განმავლობაში ბრალდებისა და დაცვის მხარეები არათანაბარ პირობებში იყვნენ.

ამასთან, სახალხო დამცველი პირდაპირ ააცხადებს, რომ მამა გიორგი მამალაძის მიმართ არაკონსტიტუციური ქმედებები განხორციელდა.

როგორც „ნიუპოსტთან“ ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა თქვა, სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგს დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოში წარადგენს.

ომბუდსმენის მონიტორინგის შედეგები, დიდი ალბათობით, საქმის სტრასბურში განხილვის შემთხვევაშიც მოხდება.

ამ და სხვა საკითხებზე „ნიუპოსტი“ მსჯავრდებულ მამალაძის ინტერესების დამცველს, ადვოკატ **მიხეილ რამიშვილს** ესაუბრა.

– ომბუდსმენის თქმით, ციანიდის საქმეზე მართლმსაჯულება ვერ განხორციელდა. ამ შეფასებას ეთანხმებით?

– ჩვენი ინფორმაციით, სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგს სააპელაციო სასამართლოსა და საქმის სტრასბურში განხილვის შემთხვევაში, ევროსასამართლოსაც გადაუგზავნით. ჩამოვყალიბდებით, როგორ მივაწოდოთ სასამართლოს სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები. რაც შეეხება უშუალოდ ომბუდსმენის დასკვნას, სახალხო დამცველი ნეიტრალური მხარეა, რომელმაც დაკავების დღიდან განახორციელა მონიტორინგი და ამის შესაბამისად აანალიზებს, თუ როგორი აბსურდული ბრალი აქვს მამა გიორგის წაყენებული. სახალხო დამცველი ტყუილად არ აკეთებს მსგავს განცხადებებს.

– ნანუაშვილის განცხადებას საქმის პროკურორი გუშინვე გამოეხმაურა, ჯარჯი წიკლაური უჩა ნანუაშვილს სიცრუის მიზანმიმართულ გავრცელებაში ადანაშაულებს და ბრალად არაკომპეტენტურობას სდებს...

– უმჯობესია, პროკურორმა მისი უწყების არაკომპეტენტურობაზე ისაუბროს. სახალხო დამცველი არ არის რიგითი ადამიანი, ეს არის ინსტიტუტი, რომელსაც დიდი კონტროლის ქვეშ აჰყავს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი.

ნიშანდობლივი და საინტერესოა მამა მიქაელ ბოტკოველის განცხადებაც, რომელმაც უჩა ნანუაშვილი ლამის მოსამართლედ მოიხსენია და არა – შემფასებლად. ეს გარკვეულწილად იმაზე მიანიშნებს, რომ ერთ პოზიციაზე დგანან როგორც სასამართლო და პროკურატურა, ასევე, საპატრიარქოს გარკვეული პირები. ამაზე მეტი სიბეცე არ ვიცი, როცა სახალხო დამცველის მონიტორინგის დასკვნას არაკომპეტენტურს უწოდებ?! ჯარჯი წიკლაურმა კომპეტენცია, პირველ რიგში, თავისთან მოიკითხოს.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ სასამართლო სხდომა დახურული იყო, მეტიც, მოსამართლის მხრიდან იყო მცდელობა, რომ პროცესს სახალხო დამცველიც არ დასწრებოდა – არ უნდოდათ, საქმის დარღვევებით მიმდინარეობაზე საზოგადოებისთვის ცნობილი გამხდარიყო. ეს მიზანმიმართული, კარგად დაგეგმილი მოქმედებებია. დღეს ჯარჯი გამოვა, ხვალ შეიძლება, სხვა პროკურორი გამოვიდეს და სხვა პოზიცია გააჟღეროს, რადგან არაერთხელ შეუცვლიათ პოზიცია. მათი ფანტაზია ულევია.

– რა განწყობით მიდიხართ სააპელაციოში, გაქვთ ობიექტური სასამართლოს იმედი?

– დემოკრატიისთვის, სასამართლო და მართლმსაჯულება ძირითადი რგოლებია. ვიმედოვნებ, სააპელაციო სასამართლო ობიექტურ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას მიიღებს . სამწუხაროდ, ამას ვიმედოვნებდი პირველი ინსტანციის დროსაც, მაგრამ მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა დავალება შეასრულა. იმედია, სააპელაციო პალატაში მოსამართლეებს გონიერება ეყოფათ და გამამართლებელ გადაწყვეტილებას გამოიტანენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპელობაზე, სამართლიანობასა და დემოკრატიაზე პრეტენზია ნუ გვექნება! თუ ეს საქმე სტრასბურამდე მივა, სასამართლო ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც კიდევ ერთი შავი და სამარცხვინო ფურცელი იქნება როგორც ჩვენი მართლმსაჯულებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. ვიმედოვნებ, საერთაშორისო სკანდალს აგვარიდებენ.

– როგორია დეკანოზის პოზიცია?

– საბრძოლო განწყობაზეა, სანამ სიმართლე არ იზეიმებს და საზოგადოება ბოლომდე არ დაინახავს, რისი მსხვერპლია და ვის ამბიციებს, „ხუშტურიკებსაა“ შეჭიდებული, იქამდე ასე იქნება. მას უნდა, საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს.

– საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას სკანდალური განცხადება გააკეთეთ და თქვით, მემუქრებიანო. ამაზე გამოძიება დაიწყო?

– მუქარა არაერთხელ ყოფილა... ჩემი განცხადება შიშისგან კი არ იყო გამოწვეული, არიქა, მიშველეთ-მეთქი. არამედ, ამ საკითხს იმიტომ შევეხე, რომ ჩემს გარშემო არიან ჩემი ახალგაზრდა კოლეგები და მინდოდა, ისინი დაცულები ყოფილიყვნენ. არ გავჩერდები და ყოველთვის, როცა ცდილობენ, ადამიანს პოზიციები დაშინებით შეაცვლევინონ, რეაგირება მექნება!

– მეუფე იაკობისგან, რომელმაც როგორც გირგვლიანის, ასევე დეკანოზის საქმეში ჩანერგილი აგენტი გიწოდათ, მორალური ზიანის სანაცვლოდ 20 ათას ლარს ითხოვთ...

– მას მეუფეს ეძახიან, მაგრამ ჩემთვის ე.წ. უსახელოა. ძალიან ვეცადე მასთან შეხვედრას, მინდოდა, დაედასტურებინა ის ცილისწამება, რომლითაც შეურაცხყო გირგვლიანების ოჯახი და ჩემი პატივი და ღირსება. მან ამ ჭორაობისთვის პასუხი უნდა აგოს. საქმე სასამართლოშია და „უსახელოს“ მოუწევს დადასტურება, საიდან მოიტანა აღნიშნული ინფორმაცია. ის ბოდიშსაც მოიხდის და იმას მიიღებს, რაც დაიმსახურა.

კახა კოჟორიძე: „დღეს სახალხო დამცველს აღარ ვცემთ და ეს შეიძლება ვიღაცისთვის პროგრესია“

სახალხო დამცველის მისამართით ხელისუფლების მხრიდან წამოსულ კრიტიკას საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების საკითხებში კახა კოჟორიძე გამოეხმაურა. კოჟორიძის თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლების გაკეთებული განცხადებები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ არ ესმით რა არის არის სახალხო დამცველის მანდატის კონსტიტუციური არსი:

– მართლა ძალიან სამწუხაროა, რომ ძალიან გახშირდა სახალხო დამცველის მიმართ მსგავსი ტიპის გაუგებარი და მიუღებელი განცხადებები. ჩვენ ერთის მხრივ ვამბობთ, რომ გვინდა ევროპული სტანდარტებით ვიცხოვროთ და, მეორე მხრივ, გვავიწყდება, რომ არსად ევროპაში მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები სახალხო დამცველს არ აკრიტიკებენ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ასრულებს საკუთარ კონსტიტუციურ ვალდებულებას.

ჩვენ გვახსოვს წლების წინ, რომ მიტინგის დარბევის დროს სახალხო დამცველს ვცემდით, დღეს აღარ ვცემთ და ეს შეიძლება ვიღაცისთვის პროგრესის მიმანიშნებელი იყოს, თუმცა ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დემონსტრირება იმისა რომ არ გვესმის კარგად რა არის სახალხო დამცველის მანდატის კონსტიტუციური არსი, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, დაკავშირებულია თუ არა ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება იმასთან, რომ ომბუდსმენმა ვანო მერაბიშვილის საქმეში მოწმის სახით მიიღო მონაწილეობა კახა კოჟორიძემ განაცხადა, რომ სახალხო დამცველისთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, კონკრეტული ადამიანი რომელი პარტიის წევრია:

– ეს, ცხადია, დაუშვებელია, სახალხო დამცველისთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, განცხადების გაკეთებისას კონკრეტული ადამიანი რომელი პარტიის წევრი იყო ან არის, სახალხო დამცველისთვის ყველა ადამიანი არის თანასწორი და თუ უფლებები ირღვევა, მისთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს არაფერს. ის უნდა იყოს კრიტიკული, ზოგჯერ მწვავედ კრიტიკული, როცა საჭიროა, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

ევროკავშირის მემარცხენე ძალები გაერთიანდნენ

რა პოზიციას დაიკავებენ ქართველი პოლიტიკოსები?

მარიამ მჭედლიშვილი

უნგრეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ევროპარლამენტის მემარცხენე და ეკოლოგიური მიმართულების პარტიებს ძირითადად ფინანსისტი ჯორჯ სოროსი აკონტროლებს. უნგრეთში გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, მემარცხენე ევროდეპუტატები ლობირებენ სოროსის ინიციატივებს ევროპის სახელმწიფოებში მიგრანტთა სავალდებულო მიღების, ასევე ლგბტ პირების უფლებების დაცვის შესახებ.

მარსელში შეკრებილმა მემარცხენეებმა ევროკავშირიდან და სხვა ევროპული სახელმწიფოებიდან ფართო მოთხოვნები წამოაყენეს. იქიდან გამომდინარე, რომ მათ რუსეთთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს, მათი ჯორჯ სოროსთან კავშირი უნდა გამოირიცხოს.

მარსელის ფორუმის შეკრების მთავარი ინიციატორია ევროპული მემარცხენე ძალების პარტია გერმანელ გრეგორ გიზის ხელმძღვანელობით. ფორუმში მონაწილეობდნენ სოციალისტური, ზომიერი კომუნისტური პარტიები, ასევე მწვანეები, პოპულისტური მემარცხენე ძალები, სტუდენტური და ქალთა ორგანიზაციები, პროფკავშირები, სამოქალაქო მოძრაობები. ფორუმის დიდ გამარჯვებად ჩაითვალა მასში დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტების მონაწილეობა.

ევროკავშირის ახლანდელ პოლიტიკას შეკრებილებმა ანტისოციალური, ავტორიტარული და ეგოისტური უწოდეს.

მთელი ევროპის მემარცხენეებმა გამოაცხადეს, რომ სურთ დემოკრატიულ და მშვიდობიან ევროპაში ცხოვრება. მათი აზრით, ევროპაში უნდა იყოს სოციალური, ეკოლოგიური, ფემინისტური და ანტირასისტული პროგრესი.

– ევროკავშირი ჩაფლულია მდგრად კრიზისში. ამ ეგზისტენციალური კრიზისის შედეგად იტანჯებიან ქვეყნები და ხალხი, – აცხადებს გრეგორ გიზი.

გადაწყდა, რომ მარსელის ფორუმი ყოველწლიური გახდება. არ არის გამორიცხული, 2018 წელს მემარცხენეები უფრო ფართო შემადგენლობით შეიკრიბონ.

შეკრებილი ძალებიდან ბევრმა მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ისინი ოქტომბერსა და ნოემბერში ჩატარდა.

მემარცხენეებმა აღნიშნეს, რომ არ უჭერენ მხარს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესებას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ან საბურენი აცხადებს, რომ რუსეთთან უსაფრთხოების საკითხებში უნდა ითანამშრომლონ:

– მოსკოვთან დაძაბულობის კარტის გათამაშებას სჯობია, მას მოველაპარაკოთ უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროპული კონტინენტური საერთაშორისო დოკუმენტის მიღებაზე.

ევროკავშირისა და ზოგადად ევროპისათვის ამგვარი შეკრება სიახლეა. ევროკავშირის სივრცეში მოსალოდნელ ძირეულ ცვლილებებზე ევროპელი ანალიტიკოსები კარგა ხანია, საუბრობენ. მათი შეფასებით, ევროპაში ბევრი ცვლილება მოხდება. ითვლება, რომ ახალი სახეებისა და პლატფორმების მაგალითად ევროკავშირისათვის საფრანგეთი იქცა, როცა აქ ხელისუფლებაში მაკრონი მოვიდა.

ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები ზრუნავენ ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნებასა და მისი თავდაცვის სისტემის შექმნაზე. რუსეთს ღიად ადანაშაულებენ იმაში, რომ ის ევროკავშირის დაშლას ცდილობს. ამ მიზნით რუსეთი მხარს უჭერს რადიკალურ მემარჯვენე პარტიებს მთელ ევროპაში, მათ შორის, საფრანგეთში.

მარსელის ფორუმმა აჩვენა, რომ ანტირუსული განწყობები არც ევროპის მემარცხენე ძალებში შეინიშნება.

ამ სიტუაციაში თავისი პოზიციების მკაფიოდ გამოხატვა ან გადახედვა მოუწევთ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. აქტიური პოლიტიკური ძალების უმრავლესობა ევროპის ამა თუ იმ მიმართულების პარტიებთან თანამშრომლობს.

„ეროვნულმა ბანკმა ლარი თავისუფალ ცურვაში უნდა მიუშვას და ის წონასწორობის კურსს თავად იპოვის“

გიორგი პაპავა: „დოლარიზაციის შემცირება ხელოვნური შეზღუდვებითა და რეგულაციებით შეუძლებელია“

ლარი დღითიდღე უფასურდება. გაუფასურების მიზეზებისა და ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხზე გაკეთებული განცხადებების შეფასება ვთხოვეთ ეკონომისტ **გიორგი პაპავას**.

– ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა განაცხადა, რომ იმპორტიორების ქცევამ განაპირობა ამ ეტაპზე ლარის გაუფასურება, მანამდე ფინანსთა სამინისტროს მოადგილეებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ ლარის მოკლევადიანი რყევა ბაზრის მოთამაშეების ქცევამ განაპირობა და ამ მოთამაშეებს შორის მანაც ბიზნესი დაასახელა ძირითად აქტორად, რამაც ეს რყევა გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებთ ხელისუფლების წარმომადგენლების ამ დასკვნებს?

– ჩემი აზრით, აქ მთავარი ის არ არის, იმპორტიორმა შეიძინა წინასწარ დოლარი თუ ვინ შეიძენს. მთავარი არის, რომ მოლოდინებია გაჩენილი. რატომ ყიდულობს იმპორტიორი წინასწარ უცხოურ ვალუტას? მას მოლოდინი აქვს, რომ ლარი უფრო გაუფასურდება. ანუ ამას მოლოდინი განაპირობებს. ეროვნული ბანკიც და მეც ვთვლი, რომ ამას მეტწილად მოლოდინები განაპირობებს. მოლოდინი იმისა, ლარი რომ გაუფასურდება, იმპორტიორებს უბიძგებთ მნიშვნელოვანი ოდენობის უცხოური ვალუტა შეიძინონ წინასწარ. ეს არის მანდ მთავარი და არა ის, რომ იმპორტიორს დავაბრალოთ.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, ბუნებრივია, რომ ვალუტის გაცვლითი კურსი დიდწილად ბიზნესზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, მოსახლეობას საქართველოში იმდენი შემოსავალი არ აქვს, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მოკლე პერიოდში გაცვლით კურსზე.

– თქვენ გაქვთ ინფორმაცია ბოლო დროს განხორციელებულ დიდ ტრანზაქციაზე, რომელსაც შესაძლოა ვალუტის კურსზე გავლენა მოეხდინა?

– ეს ტრანზაქციები არ ქვეყნდება. იმპორტიორმა რამდენი იყიდა და ექსპორტიორმა რამდენი გაყიდა, ამის სტატისტიკა არ ქვეყნდება. ეს ინფორმაცია აქვთ კომერციულ ბანკებს, რომელთანაც მიდის კლიენტი და ყიდულობს დოლარს. გამოქვეყნდა ბრუნვა ბლუმბერგზე, თუმცა რეალურად მოთხოვნის ნაშთი მიდის. ანუ რაღაც ნაწილს თვითონვე კომერციული ბანკები ყიდულობენ და ყიდიან.

– ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტის განცხადებით, ლარის გაუფასურების პროცესის შესაჩერებლად ეროვნული ბანკი იმ შემთხვევაში ჩაერევა, თუ ინფლაციის საფრთხე შეიქმნება. არის თუ არა უკვე ეს საფრთხე სახეზე?

– უნდა გავითვალისწინოთ, ჩარევაში რა იგულისხმება. ჩარევაში არ იგულისხმება, რომ ისინი მაინცდამაინც სავალუტო აუქციონზე დოლარს გაყიდიან. ჩარევაში იგულისხმება, მაგალითად, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაც. მათ წინა შეხვედრაზე რეფინანსირების განაკვეთი 7%-ზე დატოვეს. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი ინფლაციაზე გავლენას მოახდენს, აქ ორი აზრი არ არსებობს. ჩვენ გვახსოვს, რომ შარშანაც, იმავე პერიოდში კურსი იყო მაღალი. ბუნებრივია, ნოემბრის ფასები ოქტომბერთან შედარებით უფრო მაღალი იქნება, თუმცა აქ მნიშვნელოვანია, ნოემბერი შევადაროთ წინა წლის ნოემბერს, რადგანაც მაშინაც მნიშვნელოვნად დაიწყო ეს გაუფასურების პროცესი. უკვე ამ მაჩვენებელზე დაყრდნობით ეროვნული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას.

ეს ბუნებრივია, რადგან საბოლოო ჯამში, მისი მიზანი არის ინფლაციის კონტროლი. როდესაც ასეთი სწრაფი გაუფასურებაა, ბუნებრივია, ის აისახება თითქმის ყველა პროდუქტის ფასზე. როდესაც კერძო სექტორს არ შეუძლია პროგნოზირება ლარის კურსის და ასეთ მოკლევადიან პერიოდში კურსის ასეთ მნიშვნელოვან რყევებს აკვირდება, ის უფრო დიდი სავალუტო რისკის წინაშე დგას და ამას ფასებში ასახავს. სადავო იმაში არაფერია, რომ ფასები ნამდვილად გაიზრდება, უბრალოდ, რა ნიშნულამდე გაიზრდება, ეს არის მნიშვნელოვანი და, შესაბამისად, ეს იქნება გადამწყვეტი ეროვნული ბანკისთვის, რამდენად გაამკაცროს თუ არ გაამკაცროს მონეტარული პოლიტიკა.

– არჩილ მესტვირიშვილის თქმით, რეაგირებაში შეიძლება მოიაზრებოდეს ისიც, რომ ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას. არის ეს გამოსავალი? მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის სესხების გაძვირება მოჰყვება.

– მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ძვირდება სესხები ქვეყანაში. როცა სესხი ძვირდება, ეკონომიკა შედარებით ნაკლები ტემპით იზრდება. რაც თავის მხრივ მერე ინფლაციას აღარ აძლევს საშუალებას გაიზარდოს. ზუსტად ამ ბალანსის დაცვას ცდილობს ეროვნული ბანკი.

ის ცდილობს, ერთი მხრივ, ეკონომიკა არ შეანელოს, მეორე მხრივ, ინფლაცია არ გაიზარდოს ქვეყანაში. ამ ორი, ასეთ ვთქვათ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ძალის დაბალანსება უწევს მას. ამის მიხედვით ღებულობს გადაწყვეტილებას. მთელი წლის განმავლობაში ისინი მონეტარულ პოლიტიკას იმიტომ არ ამკაცრებდნენ, რომ არ სურდათ ეკონომიკური განვითარებისთვის ხელი შეეშალათ. საბოლოო ჯამში, ეკონომიკური განვითარებაა ის, რაც ქვეყანაში არის დოვლათის შემქმნელი. თუმცა, როდესაც მაღალი ინფლაციაა, უკვე თვითონ ეკონომიკურ განვითარებას საფრთხე ექმნება.

– არის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება გამოსავალი? გასაგებია, რომ ამან შეიძლება ეკონომიკური ზრდა შეაფერხოს...

– გამოსავალი ინფლაციის დასასტაბილურებლად, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მას აქვს უარყოფითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. თუ ჩვენ მაღალი ინფლაციის გამო მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება მოგვიწია, ინფლაციას რაღაც ნიშნულზე კი შევინარჩუნებთ, მაგრამ ხელს შევუშლით ეკონომიკურ ზრდას.

– დოლარიზაციის მაჩვენებლის შემცირების კუთხით მთავრობამ შარშან გადადგა ნაბიჯები, როცა ლარიზაციის პროგრამა განახორციელა, თუმცა ამან ეფექტი ვერ გამოიღო, ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურებამ დღეს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. უნდა მოხდეს თუ არა დოლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება და როგორ?

– ჩემი აზრით, დოლარიზაციის შემცირება ხელოვნური შეზღუდვებითა და რეგულაციებით, საბოლოო ჯამში, შეუძლებელია. დოლარიზაცია შემცირდება მაშინ, როდესაც მოსახლეობაში ნდობა გაიზრდება ლარის მიმართ. მოსახლეობას ექნება ნდობა მაშინ, როდესაც ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდა იქნება. თუ ჩვენი ეკონომიკა კიდევ 10 წელი კარგ შემთხვევაში 4.5%-ით გაიზარდა, ეს ნდობას მოსახლეობაში ეროვნული ვალუტის მიმართ არ გააჩენს. შესაბამისად, არანაირი დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვან შედეგამდე არ მივა.

რაც შეეხება იმ ლარიზაციის პროგრამას, რომელიც განხორციელდა, მანდ შთამბეჭდავი იყო ის, რომ ვისაც დოლარში ჰქონდა სესხი, რეალურად, ჩვენ და სახელმწიფო ფულს ვჩუქნიდით და ვეუბნებოდით – „გაძლევ შენ 1 დოლარზე 20 თეთრს და სესხი გადაიყვანე ლარში“. მაშინ ხალხისგან გვესმოდა, რომ ლარი რომ გამყარდეს, მერე მე ხომ ვიზარალებ. მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის, რომ რისკი მოიშოროს მოსახლეობამ. არ იყოს დამოკიდებული სესხის გადახდისუნარიანობა იმაზე, ლარის რა კურსი დაფიქსირდება ერთ პერიოდში თუ მეორეში.

თვითონ ბანკებიც, როგორც ჩანს, არ იყვნენ დაინტერესებული, ლარის სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი გაზრდილიყო, რადგან ბანკებსაც ურჩევნიათ, მომავალი შემოსავლები ჰქონდეთ დოლარში, ვიდრე ლარში. შესაბამისად, მათ არ დაარწმუნეს დამატებით მოსახლეობა იმაში, რომ სესხები ლარში გადაეყვანათ, თორემ ის მაჩვენებელი, რომელიც გვქონდა, გაცილებით მაღალი იქნებოდა.

– სავალუტო კრიზისის თავიდან ასაცილებლად რა ღონისძიებას შეიძლება მიმართოს ეროვნულმა ბანკმა?

– თუ ის არ აჰყვება წნეხს, რომელიც დღეს მასზე ხორციელდება და არ დაიწყებს სავალუტო ინტერვენციებს, სამომავლოდ ეს მსგავს მერყეობებს აგვაცილებს თავიდან, რადგან როდესაც ბაზარზე მოთამაშეებს ჰგონიათ, რომ ხან არ გააუფასურებს ეროვნულ ვალუტას ეროვნული ბანკი, ან არ გაამყარებს, ასეთი წარმოდგენები როდესაც იქმნება, საბოლოო ჯამში, მას შედეგად მივყავართ იმ რეალობასთან, რომელიც დღეს გვაქვს.

ეროვნულმა ბანკმა მაქსიმალურად უნდა თავისუფალ ცურვაში მიუშვას ეროვნული ვალუტა და ის იპოვის თავის წონასწორობის კურსს. შეიძლება ეს მოკლევადიან პერიოდში იყოს მტკივნეული მოსახლეობისთვის და ბიზნესისთვის, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ეს არის ზუსტად წამალი იმის, რომ შედარებით სტაბილური კურსი გვქონდეს და თავიდან ავიცილოთ მსგავსი მერყეობები. ეს უკვე დადებითად აისახება ძალიან ბევრ პარამეტრზე, თუნდაც ლარიზაციაზე იმიტომ, რომ არაერთი ნაშრომით დადასტურებულია, რომ დედოლარიზაცია წარმატებულია იმ ქვეყნებში, სადაც უფრო მეტად თავისუფალი სავალუტო გაცვლის რეჟიმი მოქმედებს.

– ვისგან განიცდის დღეს ეროვნული ბანკი წნეხს, რომ გარკვეული ჩარევა განახორციელოს სავალუტო ბაზარზე?

– იყო რამდენიმე პარლამენტარის განცხადება, რომ ისინი ითხოვენ, ეროვნულმა ბანკმა რაღაცნაირად შეაჩეროს ეს გაუფასურება. მოკლევადიან პერიოდში ეს თეორიულად შეიძლება მოხდეს მხოლოდ სავალუტო ინტერვენციებით.

ნეტგაზეთი.ge

„მაქსიმალურად ვცდილობთ, ფასების მატებისგან თავი შევიკავოთ“

მსხვილი იმპორტიორები იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების ზრდას ამ დროისთვის არ აპირებენ.

ამის შესახებ „კომერსანტთან“ „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის“ ხელმძღვანელი ივა ჭყონია საუბრობს.

მისი განცხადებით, ბოლო პერიოდში ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ დარგში საკმაოდ რთული ვითარება შექმნა. ჭყონიას თქმით, ამ დროისთვის იმპორტიორების მხრიდან ფასების „დაჭერა“ ხდება.

– ველოდებით, საბოლოო ჯამში, ლარი რა ნიშნულს დაიჭერს. სანამ საბოლოო ნიშნულზე არ გაჩერდება, შეუძლებელია იმაზე საუბარი, თუ რამდენით შეიძლება ფასები გაიზარდოს. 2.7 კრიტიკული ნიშნული იყო და ეს ყველაზე მტკივნეულად დისტრიბუტორებზე აისახება. რა დრომდეც გავუძლებთ, გავუძლებთ, – აცხადებს ჭყონია.

მისი თქმით, ერთი პრობლემაა ფასების გაზრდა და მეორე – მსყიდველობითუნარიანობა. ჭყონიას თქმით, თუ ლარის კურსი არ შემცირდა, 1-2 თვიან პერიოდში ფასების ზრდა 2-5%-ის ფარგლებში აუცილებლად მოხდება.

– მაქსიმალურად ვცდილობთ, ფასების მატებისგან თავი შევიკავოთ იმიტომ, რომ კომპანიებს თავი გავატანინოთ. დამერწმუნეთ, სადისტრიბუციო კომპანიებს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში გვიწევს ყოფნა. ჩათვალეთ, მოგებაზე არ ვფიქრობთ, ვცდილობთ ვიფიქროთ სახელმწიფოებრივად. გვინდა თავი გავიტანოთ, კომპანიები გადავარჩინოთ.

გვაქვს იმედი, რომ ეროვნული ბანკი სახელმწიფოსთან ერთად გონივრულ ნაბიჯებს გადადგამს. ყოველ შემთხვევაში, თუ არ შემცირდება კურსი, დაფიქსირდეს მაინც სტაბილური, რომ შემდეგ ჩვენც ფასების დაფიქსირება შევძლოთ. – აცხადებს ჭყონია.

იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების ამ ეტაპზე შენარჩუნებაზე საუბრობს სადისტრიბუციო კომპანია „ჯიდი ჰოლდინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უტა მაზიაშვილიც.

მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც კურსი დასტაბილურდება, იმპორტიორი კომპანიები 1-2 თვის განმავლობაში პირველადი მოხმარების პროდუქციაზე ფასებს დააკორექტირებენ.

მაზიაშვილს უჭირს კონკრეტულად იმის თქმა, თუ ფასების რამდენპროცენტიან მატებას უნდა ველოდოთ.

კითხვაზე, არსებობს თუ არა მარაგები და რა პერიოდამდეა შესაძლებელი ფასების დაჭერა, მაზიაშვილი პასუხობს, რომ მხოლოდ ერთი იმპორტიორი ვერ გაზრდის ფასებს, კონკურენციაც არის და ამიტომ კომპანიები ერთმანეთს უყურებენ.

– ეს ეტაპობრივად მოხდება, – აცხადებს მაზიაშვილი.

ბოლო 2 წელიწადში პრეზიდენტის სასახლის შენახვაზე 4,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა



პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის შენახვა-ფუნქციონირება 2 წლის განმავლობაში (2015-2016 წლებში) 4.541.589 ლარი დაჯდა, საიდანაც ყველაზე მეტი კომუნალური ხარჯია.

ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან გამოითხოვა.

სდსს-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს ავლაბრის რეზიდენციის შენახვა-ფუნქციონირებისთვის, ჯამში, 2.209.979 ლარი დაიხარჯა, კერძოდ, შრომის ანაზღაურება (შენობის შენახვა-ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პირების ხელფასი, პრემია) – 291.987 ლარი, სამეურნეო საქონელი – 41.559 ლარი, მიმდინარე რემონტი – 232.970 ლარი, კაპიტალური რემონტი – 86.348 ლარი, შენობის დაცვის შემადგენლობაზე გაწეული ხარჯი – 738.329 ლარი.

2015 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი თანხა – 818.786 ლარი – კომუნალური ხარჯია, უფრო კონკრეტულად კი ელექტროენერგია – 535.568 ლარი, ბუნებრივი აირი – 183.855 ლარი, წყალი – 78.312 ლარი, გენერატორის საწვავის ხარჯი – 14.575 ლარი, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდინარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი (გუმბათის წმენდა, დროშის შეცვლა და გამწვანება) – 6.475 ლარი.

2016 წელს ავლაბრის რეზიდენციის შენახვა-ფუნქციონირება, ჯამში, 2.331.610 ლარი დაჯდა, მათ შორის, შრომის ანაზღაურება (შენობის შენახვა-ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პირების ხელფასი, პრემია) – 325.025 ლარი, სამეურნეო საქონელი – 28.000 ლარი, მიმდინარე რემონტი – 187.184 ლარი, შენობის დაცვის შემადგენლობაზე გაწეული ხარჯი – 772.439 ლარი.

2015 წლის მსგავსად, გასულ წელსაც ყველაზე მეტი თანხა – 1.018.962 ლარი კომუნალური ხარჯი იყო, უფრო კონკრეტულად კი ელექტროენერგიაზე 624.485 ლარი, ბუნებრივ აირზე – 214.570 ლარი, წყალმომარაგებაზე – 144..200 ლარი დაიხარჯა.

გენერატორის საწვავის ხარჯმა 6.630 ლარი, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯმა (გუმბათის წმენდა, დროშის შეცვლა და გამწვანება) – 29.077 ლარი შეადგინა.

უკრაინელი ადვოკატი: „მეგის ქარდავამ არც იცოდა, რა ხდებოდა იქ, რაშიც ბრალს სდებენ“

– მეგის ქარდავამ არც იცოდა, ხდებოდა იქ, რაშიც ბრალს სდებენ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავას უკრაინელმა ადვოკატმა მიხეილ ლოტოცკიმ განუცხადა.

– ის, როგორც ადამიანი, საქართველოში არავის სჭირდება. მხოლოდ ინფორმაცია უნდათ. მეგის ქარდავას არასდროს ჩაუდენია, რაშიც ადანაშაულებენ და არც სხვებისთვის მიუცია ამის გაკეთების ბრძანება. თუ რამე მსგავსი ხდებოდა, მეგის ქარდავამ ამის თაობაზე არაფერი იცოდა, – განაცხადა მიხეილ ლოტოცკიმ.

მისივე ინფორმაციით, ქარდავას მოსანახულებლად უკრაინაში მისი ოჯახი საქართველოდან ჯერჯერობით არ ჩასულა.

– მეგის ქარდავასთან ბოლო შეხვედრა გასულ პარასკევს მქონდა. მისი მდგომარეობა ნორმალურია. სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. მისი ოჯახის წევრები არ ჩამოსულან. ნებისმიერ სიტუაციაში, მეგის ქარდავასთან შეხვედრისთვის მათ პროკურატურის ნებართვა დასჭირდებათ, – აღნიშნა ადვოკატმა.

უკრაინაში დაკავებულ მეგის ქარდავას 40-დღიანი საექსტრადიციო პატიმრობა აქვს შეფარდებული.

აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა 1977 წელს დაბადებული ვ.ტ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამართალდამცველებმა აცნობეს, ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 191 აბი და 35 ნატეხი და 2 შეკვრად დაფასოებული „სუბოქსინის“ ფხვნილი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).



ზაქარიაძის ქუჩაზე მესამე სართულიდან 93 წლის მამაკაცი გადმოვარდა

ზაქარიაძის ქუჩაზე შენობის მესამე სართულიდან მამაკაცის გადმოვარდნის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

ზაქარიაძის ქუჩაზე უბედური შემთხვევა გუშინ მოხდა. შენობის მესამე სართულიდან გადმოვარდნილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი 93 წლისაა.

რობი ღონღაძე: „მთვრალი პოლიციელები მოგდევდნენ და მესროდნენ“

რუსთავში 18 წლის რობი ღონღაძე ნასვამ სამართალდამცავებს დევნასა და ცემაში ადანაშაულებს.

ინციდენტი, როგორც ახალგაზრდა ამბობს, 12 ნოემბერს მოხდა.

მომხდარის შესახებ ღონღაძე „ინფო რუსთავთან“ საუბრობს და აცხადებს, რომ მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მასთან კრიმინალური პოლიციის მანქანა გაჩერდა, მაღაზიის სავარაუდო გაქურდვაში დაადანაშაულეს და მისი განყოფილებაში გადაყვანა ცადეს.

– აქ რას აკეთებთ, მაღაზიის გაქურდვას ხომ არ აპირებთ? – უთხრეს მას პოლიციელებმა.

ახალგაზრდის თქმითვე, სამართალდამცავებს, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ზრდილობიანად უპასუხა, თუმცა პოლიციელებმა მისი მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასმა და განყოფილებაში გადაყვანა ცადეს.

ღონღაძემ გაქცევა მოახერხა. როგორც ახალგაზრდა ამბობს, პოლიციელები სწორედ ამ დროს დაედევნენ და სროლა დაიწყეს. ბიჭი წაიქცა და პოლიციელებმა უმოწყალოდ სცემეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე მოქალაქემ მიმართა და შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ რეაგირება მოახდინა, მაგრამ შეტყობინების ინიციატორთან კავშირის დამყარება ვერ მოხერხდა.

– მიმდინარე წლის 12 ნოემბერს შსს-ს გენერალურ ინსპექციაში შემოვიდა მოქალაქის შეტყობინება ქალაქ რუსთავში პოლიციელების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ.

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ მიღებულ შეტყობინებაზე მყისიერი რეაგირება მოახდინა, თუმცა მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, შეტყობინების ინიციატორთან სატელეფონო კავშირის დამყარება ვერ მოხერხდა.

ამავე თემაზე შსს-ს გენერალურ ინსპექციას, ასევე, მიმართა სახალხო დამცველის რუსთავის ოფისის წარმომადგენელმა და დამატებითი ინფორმაციის მოწოდების მიზნით, შსს-ში, შეტყობინების ინიციატორ მოქალაქესთან ერთად, მიმდინარე წლის 16 ნოემბერს გამოცხადების სურვილი გამოთქვა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელსა და შეტყობინების ინიციატორ მოქალაქესთან გასაუბრების შემდეგ ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად შსს-ს გენერალური ინსპექცია შესაბამის და ყველა საჭირო მოქმედებას განახორციელებს, – აღნიშნავენ შსს-ში.

„საპატრულო პოლიციას უფლება არ ჰქონდა, „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულებისთვის კარვის დადგმა აეკრძალა“

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულების ადვოკატ ფრიდონ სიხუაშვილის განცხადებით, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს უფლება არ ჰქონდათ, აქციის მონაწილეებისთვის კარვის გაშლა აეკრძალათ.

ამის შესახებ სიხუაშვილმა ჟურნალისტებს მთავარ პროკურატურასთან მიმდინარე აქციაზე განუცხადა.

დაზარალებულები მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის გადადგომას ითხოვენ და ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ.

ფრიდონ სიხუაშვილის თქმით, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ უფლება აქციის მონაწილეებისთვის კარვის დადგმა აეკრძალათ, რადგან დაზარალებულები კარავს ისეთ ტერიტორიაზე დგამდნენ, რომლითაც სატრანსპორტო მოძრაობა, ან საფეხმავლო გადაადგილება არ შეიზღუდებოდა.

ფრიდონ სიხუაშვილის განცხადებით, საპატრულო პოლიციის მხრიდან ეს არის ძალადობა და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება, რის გამოც პროკურატურაში საჩივარს შეიტანენ.

– 2 კვირის წინ ჩვენ მივმართეთ პროკურატურას იურიდიული პირის სააქციო საზოგადოება „ბავშვთა სამყაროს“ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები საზოგადოდ აცხადებდნენ, რომ „ბავშვთა სამყაროს“ შენობის დაწვის გამო სადაზღვევო თანხას – 6 მილიონ ლარს მიიღებდნენ.

აქედან გამომდინარე დადგენილია, რომ შენობა განზრახ გადაიწვა. ასევე დადგენილია, რომ უსაფრთხოების წესები არ იყო დაცული და დადგენილია, რომ ეს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს ევალებოდათ. ასევე დადგენილია, რომ იქ წლების განმავლობაში ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა ხალხი.

აქედან გამომდინარე, აღნიშნულზე არაერთი საჩივარი გვაქვს ფინანსურ პოლიციაში შეტანილი, რომ დაიწყოს გამოძიება, შემოსავლების დამალვაზე და გადასახადების თავის არიდების ფაქტზე. უკვე წელიწადი სრულდება და ყველა ამ ფაქტზე მთავარი პროკურატურა რეაგირებას არ ახდენს. ამ ადამიანების მოთხოვნა გადადგეს შოთაძე, მოხდეს სწრაფი გამოძიება და დამნაშავეები დასხდნენ საბრალდებო სკამზე, – განაცხადა ფრიდონ სიხუაშვილმა.

ჩუღურეთში „ღვინის გალერეა“ გაძარცვეს

ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, მაღაზია „ღვინის გალერეა“ გაძარცვეს. მძარცველებმა ჩატეხეს შუშა, შეამტვრიეს კარი და ამ გზით მოახერხეს მაღაზიაში შეღწევა. წაღებულია ნაღდი ფული და დაზიანებულია ინვენტარი.

„ღვინის გალერეის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. ჩანაწერებში ჩანს დამნაშავეების სახეები.

აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. მიმდინარეობს პირთა იდენტიფიკაცია.

როგორც მაღაზიის თანამშრომლები აცხადებენ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში მსგავსი შემთხვევა უკვე მეორედ დაფიქსირდა.

ვერის ბაღში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

ვერის ბაღში შუახნის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვლილს სხეულზე დაზიანება არ აღენიშნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თბილისში ერთმანეთს 3 მსუბუქი და 1 სატვირთო ავტომობილი შეეჯახა

გუშინ ავარია მოხდა თბილისში, სააკაძის მოედანზე.

ერთმანეთს 3 მსუბუქი და 1 სატვირთო ავტომობილი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სადახლოზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სადახლო-საავტომობილოში“, ჯამში, 3.540 ღერი არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის 2 ფაქტი აღკვეთეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, არადეკლარირებული საქონელი სომხეთის მოქალაქეების, პ.მ-სა და ვ.ა-ს ფიზიკური, სხეულის სკანერის მეშვეობით დათვალიერების შედეგად გამოავლინეს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ არადეკლარირებული საქონელი და თითოეულს შეეფარდა ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით.

ტილერსონის თანაშემწე კიევში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივან ტილერსონის თანაშემწე მიტჩელი კიევში ჩავიდა. ის პრეზიდენტმა პოროშენკომ მიიღო.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა, ასევე უკრაინაში მიმდინარე რეფორმები იყო.

პოროშენკომ აღნიშნა, რომ უკრაინელმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. ეს ევროინტეგრაციაა. უკრაინელებმა ის სისხლის ფასად დაიცვეს. მიუხედავად ომისა, დღეს უკრაინაში დემოკრატიული რეფორმები მიმდინარეობს.

– არ მეგულება მეორე ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ომის პირობებში ასეთი მასშტაბის გარდაქმნები წარმოებდეს, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა აშშ-ის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ აშშ-ის დახმარება რომ არა, უკრაინა ბევრად სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა.

მიტჩელმა, თავის მხრივ, ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკრაინას უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, – თქვა მიტჩელმა.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ აღნიშნა, რომ აშშ-ში უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას უკვე სერიოზულად განიხილავენ. რაც შეეხება დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების განთავსებას, მიტჩელმა თქვა, რომ აშშ მხარს უჭერს ცისფერჩაფხუტიანთა განთავსების იმ სქემას, რომელიც უკრაინამ წამოაყენა, ანუ გაეროს მშვიდობისმყოფელები დონბასის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთ- უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზეც უნდა განალაგონ.

– სხვაგვარად მშვიდობის დამყარება შეუძლებელია, – ამბობს მიტჩელი.

უკრაინის პრეზიდენტმა მიუთითა, რომ დონბასში ნებისმიერი კონტინგენტის შემოსვლას მიესალმება, გარდა რუსეთისა, რომელიც აგრესორია და უკრაინის ტერიტორიის ნაწილი მიითვისა.

ბელორუსი მზადაა, დონბასში თავისი მშვიდობისმყოფელები მიავლინოს

ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკეიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, დონბასში თავისი მშვიდობისმყოფელები მიავლინოს.

– ჩვენ აღმოსავლეთ უკრაინაში მშვიდობის აღდგენით დაინტერესებულნი ვართ, ამიტომ გაეროს ეგიდით ჩატარებულ სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას მივიღებთ, – ამბობს მაკეი.

ბელორუსის ხელისუფლების ინიციატივას კიევში თავშეკავებული რეაქცია მოჰყვა. საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა ბელორუსებს მადლობა გადაუხადა. უკრაინის პარლამენტის დეპუტატი და რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო კი მიიჩნევს, რომ მაკეის წინადადება პუტინის მორიგი მზაკვრული სვლაა.

– ბელორუსში რუსული გავლენა ძალიან ძლიერია! ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ გაეროში ბელორუსები მხარს ჩვენ კი არა, რუსებს უჭერენ. დონბასში ბელორუსული კონტინგენტის ჩაყენებაც, ფაქტობრივად, რუსული კონტინგენტის ჩაყენებას ნიშნავს, – თქვა ლიაშკომ.

აშშ-ის კონგრესში ტრამპის იმპიჩმენტს აპირებენ

აშშ-ის კონგრესში ანტიტრამპული ძალები აქტიურდებიან. კონგრესმენმა დემოკრატებმა ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შესახებ გამოაცხადეს.

– ტრამპი ქვეყნის კონსტიტუციას არღვევს, – ამბობს დემოკრატი კონგრესმენი კონუეი.

დემოკრატები კონგრესში აშკარა უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ, თუკი ტრამპმა თავისი განზრახვის, ანუ რუსეთთან მოლაპარაკების სისრულეში მოყვანა ცადა, მათ მხარს უკვე რესპუბლიკური პარტიის წევრებიც დაუჭერენ. ამ შემთხვევაში ტრამპს სერიოზული პრობლემები მოელის.

– ბატონმა პრეზიდენტმაც ეს სრულად უნდა აღიქვას და თავიდან ამოიგდოს უტოპია, რომელსაც პუტინთან საერთო ენის გამოძებნა ჰქვია, – განაცხადა ბრუკლინის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა პეიფერმა.

დოდონი: „მოლდოვას არმია არ სჭირდება!“

მოლდოვის პრეზიდენტმა და პრო-რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსმა დოდონმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას რეგულარული არმია არ სჭირდება.

– მოლდოვამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. შესაბამისად, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს არმიის ყოლა, – თქვა დოდონმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მოლდოვის მომავალს რუსეთთან მჭიდრო კავშირში ხედავს. მისი აზრით, მოლდოვა ევრაზიულ კავშირს უნდა შეუერთდეს.

– ამბობენ, რომ ამით ჩვენი სუვერენიტეტი შეიზღუდება. დავუშვათ, ასეც არის. მერე რა? დღეს ნახევრად მშივრები გავიძახით, თავისუფლები ვართო. ასე არ შეიძლება, – ასკვნის დოდონი.

აზერბაიჯანი ევროსაბჭოდან გასვლით იმუქრება

ევროსაბჭო აზერბაიჯანის კრიტიკას განაგრძობს.

საუბარია აზერბაიჯანული ოპოზიციის დევნასა და მათი ლიდერების დაპატიმრებებზე.

პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ ევროპელების კრიტიკა უკვე აღიზიანებს.

– თუკი ასე გაგრძელდა, აზერბაიჯანი ევროსაბჭოს დატოვებს, – თქვა ალიევმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ქირავდება

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილე ცნობილია

2018 წლის 14 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით რუსეთში ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

შესარჩევი ეტაპი დასრულებულია და ცნობილი გახდა ყველა იმ საფეხბურთო ეროვნული ნაკრების ვინაობა, რომლებიც რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატისთვის გაემგზავრებიან. ფინალური ეტაპის კენჭისყრა მოსკოვში პირველ დეკემბერს შედგება.

ევროპიდან მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდნენ: მასპინძელი რუსეთი, გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია, ინგლისი, სერბეთი, ისლანდია, ბელგია, პოლონეთი, საფრანგეთი, ხორვატია, შვედეთი, შვეიცარია და დანია.

სამხრეთ ამერიკიდან: ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, კოლუმბია და პერუ.

კონკაკაფი: მექსიკა, კოსტა-რიკა და პანამა

აზია: ირანი, იაპონია, სამხრეთ კორეა, საუდის არაბეთი და ავსტრალია.

აფრიკა: მაროკო, ეგვიპტე, ტუნისი, ნიგერია და სენეგალი.

დინამოს მორიგი მარცხი

ჯეუ ნაპოჯა-დინამო 97:74
(19:13, 28:22, 22:17, 28:22)

თბილისის დინამომ ფიბა ევროპის თასზე ბოლოსწინა მატჩი გამართა. საქართველოს ჩემპიონმა რუმინეთში, კლუჟ-ნაპოკასთან წააგო და ჯგუფიდან გასვლის შანსი ყველა იმედი ამოეწურა. 4 გუნდიდან მომდევნო ეტაპზე 2 საუკეთესო გავა, რომელთა შორისაც ვერ იქნება ჯერჯერობით მოგების გარეშე მყოფი დინამო.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა რუმინულ კლუბთან თბილისში უშანსოდ წააგეს და იმედი იმისა, რომ სტუმრად იმარჯვებდნენ, ძალიან მცირე იყო. კლუჟელებმა ყველა პერიოდი მცირედით მოიგეს, რამაც, საბოლოო ჯამში, 23-ქულიანი სხვაობა შეადგინა – 97:74.

დინამოელთა მხრიდან 10-ქულიან ზღვარს ერთბაშად 5 კალათბურთელი ასცდა. ესენი შარაბიძე (14), გაჩეშა (14), ბერიშვილი (12), გრძელიძე (11) და გოგოძე (11) არიან.

ცხადია, ყველა წაგების მქონე დინამო ჯგუფში ბოლო ადგილზე იმყოფება. თბილისური კლუბი ევროთასზე დასკვნით მატჩს 6 დეკემბერს ჩაატარებს, როდესაც თურქულ ისთანბულს უმასპინძლებს.

შედეგები

15 ნოემბერი
ფეხბურთი
მრ-2018. შესარჩევი ეტაპი
პლეი ოფი

პერუ-ახ.ზელანდია 2:0
ავსტრალია-ჰონდურასი 3:1

აშშ მუნდიალის ალტერნატივას გეგმავს

ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის მარკეტინგის სამსახური ახალი ტურნირის ჩატარებას გეგმავს.

მოგეხსენებათ, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საკმაოდ კარგი ნაკრებები ვერ მოხვდნენ, რაც თვალშისაცემია.

აშშ-ში გეგმავენ, რომ იმავე პერიოდში მსოფლიო ჩემპიონატის ალტერნატიული ტურნირი მათ მიწაზე ჩატარდეს და იმ ნაკრებებმა მიიღონ მონაწილეობა, რომლებიც რუსეთში ვერ გაემგზავრებიან.

სავარაუდო სია ასეთია: ამერიკის შეერთებული შტატები, ჰოლანდია, იტალია, უელსი, კამერუნი, ჩილე, განა, კოტდიუვარი.

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა



გარდიანი: „საქართველო ერთა თასისთვის გადაიზარდა“

პოპულარულმა ბრიტანულმა გამოცემა გარდიანმა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების შესახებ სტატია გამოაქვეყნა. 18 ნოემბერს ჩვენი ნაკრები უელსთან ითამაშებს და მოახლოებული ტესტმატჩის წინ ის გამოცემა მილტონ ჰეიგს ესაუბრა.

– საქართველოს ნაკრები ევროპის ერთა თასისთვის გადაიზარდა, თუმცა მათთვის 6 ერის კარი კვლავ დახურულია, – ნათქვამია სტატიაში, შემდეგ კი უკვე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი საუბრობს.

მილტონ ჰეიგი:

– 2 წელია ვამტკიცებთ, რომ ევროპის ერთა თასისთვის გადავიზარდეთ. ეს არაა რუმინეთის, რუსეთისა და მისი მსგავსი გუნდების უპატივცემულობა, თუმცა მივაღწიეთ სტადიას, რომლის შედეგად კანადასთან 54 ქულა ავიღეთ. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილო დავრჩი, რადგან ვერ ვაჩვენეთ ის თამაში, რისი სურვილიც მქონდა. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს და ვისურვებდი, რომ უელსის შემდეგ გვქონოდა თამაში პირველი დონის გუნდთან, რათა საკუთარი შესაძლებლობები შევამოწმოთ. ასეთივე მდგომარეობაში იყო 2000 წელს იტალია, როდესაც 5 ერი ექვსად გადაკეთდა, მსგავსად არგენტინისა, რომელიც 2012 წლიდან 3 ერის ნაწილი გახდა. ორივე ქვეყანას დიდხანს მოუწია ლოდინი. მსოფლიო რაგბის ვიცეპრეზიდენტი აგუსტინ პიშო ცდილობს, რომ განვითარებად ქვეყნებს დაეხმაროს და ექვსმა ერმა ახალი წევრები მიიღოს. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ერთ დროს ექვსეულში მოვხვდებით. ძალიან მიხარია, რომ გვაქვს შესაძლებლობა, ვეთამაშოთ უელსის ნაკრებს. ასეთ მატჩებში ჩნდება, თუ როგორ გავაუმჯობესეთ ჩვენი თამაშის ხარისხი. რაგბიში ჩართული ახალგაზრდებისა და იმ ადამიანთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ზაფხულში 15-წლამდე გუნდის თამაშს დავესწარი, რომლებმაც უელსს უმასპინძლეს და დაამარცხეს კიდეც ისინი. ჩემი საქართველოში ჩასვლამდე მხოლოდ 2 საერთაშორისო სტანდარტის სტადიონი არსებობდა, ახლა ეს რაოდენობა მინიმუმ 16-ია. იმ დროისთვის ჩვენ აშშ-ის, კანადისა და სამოას უკან ვიყავით, მაგრამ ახლა მათ დიდი სხვაობით ვამარცხებთ. რაგბის მიმართ ინტერესი იმდენადაა გაზრდილი, რომ უელსთან თამაშის ტელეტრანსლირების უფლების მოსაპოვებლად 5 ტელეკომპანია იბრძოდა. ჩემს მოთამაშეებს ვუთხარი, რატომაც არ შეიძლება ვიფიქროთ უელსის დამარცხებაზე? ჩვენს მოწინააღმდეგეს ვაფასებთ, მაგრამ, თუ არ დაიჯერე, რომ მოგება შეგიძლია, ვერასდროს მოიგებ. მე, როგორც ახალზელანდიელს, სხვანაირად არც შემიძლია. შოტლანდიის მატჩისგან განსხვავებით, მორაგბეებს საკუთარი თავისგან მეტი მოლოდინი აქვთ. მათ შეუძლიათ თამაში და გვსურს, რომ მსოფლიო რაგბიმ ეს იცოდეს. 2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ჰყავდა ძლიერი შერკინება და იშვიათად იყენებდა ხაზის მოთამაშეებს. ახლა ეს შეცვლილია. მე ვისურვებდი, რომ ყველანი უმაღლეს დონეზე თამაშობდნენ, თუმცა ის ვარჯიშები, რომლებიც მათ უტარდებათ, ისეთივე კარგია როგორც საფრანგეთში, ან ინგლისში. დღეს, ჩვენ უფრო კარგები ვართ, ვიდრე 2015 წელს ვიყავით. გასულ წელს შოტლანდიაში დავმარცხდით, ხელოვნურ საფარიან მოედანზე, რაც მათ წისქვილზე ასხამდა წყალს, თუმცა შევიძინეთ თავდაჯერებულობა. ზაფხულში არგენტინას ვეთამაშეთ და ბიჭებს ვუთხარი, რომ ამ თამაში მოგება შეიძლებოდა. მაგრამ დებიუტში მეტოქეს 4 ჯარიმა ვაჩუქეთ, თუმცა მატჩის მიწურულს ბიჭები მიხვდნენ, რომ შედეგი შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო და საბოლოოდ მეტოქეს მხოლოდ 16 ქულით ჩამოვრჩით.

მარკოიშვილი და დიქსონი საქართველოში ქულებით მოდიან

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში წამოსვლამდე ბოლოსწინა მატჩი გამართა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელიც თავის გუნდს ევროთასზე მორიგი მატჩის მოგებაში დაეხმარა.

ტურნირის მე-6 ტურში რეჯიოემილიელებმა პოდგორიცას ბუდუჩნოსტს უმასპინძლეს და 77:71 დაამარცხეს. მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 32 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 8-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

რეჯიო ემილია 3-3 მოგებაწაგებით ბ ჯგუფში 2-4 ადგილებს იყოფს, მომდევნო შეხვედრას კი სტამბოლში გალათასარაისთან ჩაატარებს.

მაიკლ დიქსონის სტრასბურმა ფიბას ჩემპიონთა ლიგაში მორიგი მატჩი შინ როდომთან გამართა და 11-ქულიანი გამარჯვება მოიპოვა – 74:63. საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელი უკანახაზელი კი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

დიქსონი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 19 წუთში 13 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. მაიკლმა 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

სტრასბურგმა 4 მოგებითა და 2 მარცხით ჩემპიონთა ლიგის ც ჯგუფში მე-2 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი შინ თურქულ ბანვითთან გამართავს.

შატილი, უფლისციხე, მარტვილის კანიონი, მესტია და უშგული

რას წერს ფრანგი ბლოგერი



ფრანგმა რეჟისორმა და ფოტოგრაფმა ბენჟამინ მარტინმა, რომელიც ინტერნეტსივრცეში თოლტის სახელით არის ცნობილი და მოგზაურობასთან დაკავშირებულ მასალებს ამზადებს, საქართველოს შესახებ მორიგი ვიდეორგოლი გამოაქვეყნა.

პირველი ვიდეობლოგი სახელწოდებით „არ წახვიდეთ საქართველოში“ სოციალურ ქსელებში საკმაოდ პოპულარული იყო.

ფრანგი ბლოგერი მოგზაურობის დროს გადაღებულ ვიდეოებს ვირუსულ სათაურებს ურჩევს, მაგალითად: „არ წახვიდეთ ირანში“, „არ წახვიდეთ ალჟირში“. რეალურად კი, მაყურებელს სწორედ იმ ღირსშესანიშნაობებს აჩვენებს, რის გამოც ამა თუ იმ ქვეყნის ნახვა ღირს.

საქართველოს შესახებ მომზადებული მორიგი ვიდეო შატილში, უფლისციხეში, გორში, წყალტუბოში, მარტვილის კანიონსა და სვანეთში – მესტიასა და უშგულში გადაღებულ კადრებს აერთიანებს.

– შატილისკენ გავემგზავრეთ. გზად რუსეთ-საქართველოს მეგობრობის მონუმენტი ვნახეთ. ღამე შატილში გავატარეთ. დილა კი სახლში მომზადებული საუზმით დავიწყეთ. როგორც იქნა, მზემ გამოანათა და პეიზაჟებითა და კოშკებით ტკბობის საშუალება გვეძლევა.

დანიშნულების მომავალი პუნქტი – უფლისციხე. შემდეგ გორი, ქალაქი, სადაც სტალინი დაიბადა და მისი სახელობის მუზეუმიც აქვთ.

წყალტუბოშიც ვიყავით. საბჭოთა დროს ეს ადგილი ძალიან პოპულარული იყო, ახლა კი აჩრდილთა ქალაქს ჰგავს.

მომდევნო დღეს, მესტიისკენ მიმავალ გზას უთენია დავადექით, რათა მარტვილის კანიონის ნახვაც მოგვესწრო.

რამდენიმე საათის შემდეგ საბოლოოდ ჩავაღწიეთ უშგულში, საღამოს კი რესტორანს ვესტუმრეთ, სადაც ტრადიციული ქართული ცეკვითა და სიმღერით ვისიამოვნეთ.

მოისამბები.გე

გირჩი კულტურის სამინისტროს გაუქმებას ითხოვს

გირჩი კულტურის სამინისტროს გაუქმებას ითხოვს, ხოლო მიზეზებზე, თუ რატომ არ უნდა ფინანსდებოდეს კულტურა და ხელოვნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მწერალი ტორესა მოსი საუბრობს.

2018 წელს კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი იქნება 116 მილიონ ლარზე მეტი, საიდანაც 56 მილიონი, ანუ 48%, ანუ თითქმის ნახევარი დაიხარჯება შრომის ანაზღაურებაზე.

ტორესა მოსის განცხადებით, საქართველოს გაჭირვებული მოსახლეობის მიერ გადახდილი 116 მილიონის ნახევარს მომავალ წელს სახელმწიფო კულტურის სფეროში მოღვაწე 6,762 ადამიანს დაურიგებს ხელფასის სახით.

– თქვენ ახლა შეიძლება ამ ტექსტს კითხულობდეთ და ამავე დროს ეძებდეთ სამუშაოს, არ გქონდეთ შემოსავალი, დილით გაღვიძება გეზიზღებოდეთ ან საერთოდ ვერ იძინებდეთ, მაგრამ თქვენ რომ ძერწავდეთ თიხის ქოთნებს და იყოთ იმ ბედნიერ 6,762 ადამიანში, გექნებოდათ გარანტირებული ყოველთვიური შემოსავალი ჩვენს ხარჯზე, სხვა მოქალაქეების ხარჯზე, – აცხადებს ტორესა მოსი.

რაში იხარჯება 116 მილიონის მეორე ნახევარი, რომელსაც არ ვხარჯავთ ხელფასებში?

ტორესა მოსი აცხადებს, რომ მოქალაქეებს ხშირად სჯერათ, რომ თუ ამ ფულს არ დავხარჯავთ, კულტურული მემკვიდრეობა განადგურდება, სინამდვილეში კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე იმ 116 მილიონიდან იხარჯება მხოლოდ 5 მილიონ 895 ათასი ლარი, ანუ მხოლოდ 5%.

ტორესა მოსის თქმით, ეს ფული ტაშ-ფანდურში და ისეთი ორგანიზაციების დაფინანსებაში იხარჯება, რომლებიც ბაზარზე ვერ ყიდიან საკუთარ პროდუქტს, რადგან მათი პროდუქტი უხარისხოა ან ძვირია: „ანუ გაჭირვებულ მოქალაქეებს სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები აქვთ საკუთარი ფულის დასახარჯად.“

მაგალითად, ფულის დიდი ნაწილით ფინანსდებიან:

29 თეატრის სსიპი; 1 კინოს სსიპი; 10 მუსიკალური ანსამბლის სსიპი; 2 ლიტერატურული სსიპი; 14 სახელოვნებო საგანმანათლებლო სსიპი; 27 სამუზეუმო სსიპი.

როგორც მწერალი აცხადებს, კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ჯამში, 83 სსიპის დაფინანსებაზე იხარჯება თანხები, რომლებსაც საკუთარი თავის შენახვა არ შეუძლიათ და ზურგზე ასხედან გაჭირვებულ მოსახლეობას.

რას ნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურის/ხელოვნების დაფინანსება? – ტორესა მოსი განმარტავს:

პირველი – დავიწყოთ იმით, რომ სუბსიდია გულისხმობს ძალადობას – იმისათვის, რომ სახელმწიფომ დააფინანსოს კულტურა ან კულტურის მოღვაწეები, მან ჯერ ეს ფული უნდა წაართვას სხვებს, სხვა მოქალაქეებს; მათ ვისაც არ უნდა კულტურის დაფინანსება. სხვა შემთხვევაში ის ადამიანები იყიდდნენ სპექტაკლის ან კონცერტის ბილეთს. მაგრამ მათ აქვთ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, რაშიც ურჩევნიათ მწირი შემოსავლის დახარჯვა. რომელიმე თქვენგანი საკუთარ მეზობელთან მიაგზავნიდით პოლიციას რომ მისთვის წაერთმია ფული და შემდეგ მიეცა მეორე მეზობლისთვის რომელიც ხატავს ან სპექტაკლში თამაშობს? ნაკლებად სავარაუდოა. როდესაც მხარს უჭერთ ბიუჯეტიდან კულტურის დაფინანსებას, სინამდვილეში მხარს უჭერთ სწორედ ამას, რომ პოლიციის ძალით წაართვათ ფული ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს და შემდეგ ეს ფული აჩუქოთ მოქალაქეთა ერთ ჯგუფს, ე.წ. კულტურის მოღვაწეებს.

მეორე – როდესაც ადამიანები თავად წყვეტენ რომელ სპექტაკლზე წავიდნენ, რომელი ნახატი იყიდონ, რომელ მუსიკოსს მოუსმინონ და სხვა – ადამიანების გადასაწყვეტი ხდება ის თუ რა არის დროის კონკრეტულ მომენტში მოთხოვნადი, რას უყურებენ, რას უსმენენ და ა.შ. როდესაც კულტურას/ხელოვნებას ვაფინანსებთ გადახდილი გადასახადებით, კონკრეტული ბიუროკრატები და მათთან დაახლოებული ექსპერტები წყვეტენ რა უნდა დაფინანსდეს და რა არა, ანუ რა არის კარგი ხელოვნება და რა არა. სახელმწიფო ხდება კარგი, დასაფასებელი ხელოვნების განმსაზღვრელი, ზუსტად ისე როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირში ან ნებისმიერ სხვა ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

მესამე – სუბსიდირებული ანუ გადასახადებით დაფინანსებული კულტურა/ხელოვნება ყველა შემთხვევაში არის პოლიტიზებული კულტურა/ხელოვნება. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ისეთ განვითარებად ქვეყნებში როგორიც საქართველოა. გაიხსენეთ თუნდაც ქართველი ე.წ. ესტრადის მომღერლები – ერთი ნაწილი უმღერის ხელისუფლებას რადგან ბიუჯეტიდან იკვებება, მეორე ნაწილი კი, რომელსაც არ აჭმევენ, კრიტიკულია ხელისუფლების. შემდეგ იცვლება ხელისუფლება და იცვლება ამ მომღერალთა როლებიც. იგივე ხდება თეატრის, კინოს თუ სხვა მიმართულებებითაც. კულტურის პოლიტიკა სინამდვილეში ძალაუფლების შენარჩუნების პოლიტიკაა, ხოლო ე.წ. „ხელოვნების მუშაკები“ ამ პოლიტიკის ინსტრუმენტები არიან.

მეოთხე – კულტურის ცენტრალიზებულად, გადასახადებით დაფინანსება აუარესებს ხარისხს. ბიუჯეტიდან დაფინანსებული ადამიანები როგორც წესი არ არიან საუკეთესო ხელოვანები. ისინი არიან ბიუროკრატიასთან დაახლოების ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანები. შემთხვევათა უდიდეს ნაწილში მათ სწორედ ამიტომაც სჭირდებათ ბიუჯეტის ფული, რადგან ვერ ახერხებენ ღირებული პროდუქტის შექმნას რომელიც ბაზარზე გაიყიდებოდა და ადამიანები მასში ნებაყოფლობით გადაიხდიდნენ ფულს.

მეხუთე – ბიუჯეტიდან დაფინანსებული კულტურა/ხელოვნება ცენზურას იოლად დაქვემდებარებული ხელოვნებაა. და შესაბამისად არც ხელოვნებაა და არც კულტურა. ბოლოს როდის ნახეთ რომ მომღერალს საჯაროდ შეეგინოს ბიუჯეტით დაფინანსებულ კონცერტზე ან სპექტაკლზე? შეიძლება არსებულ რეალობაში არც ერთ მომღერალს გინება არ უნდებოდეს? შევეშვათ გინებას, ბოლოს როდის ნახეთ რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ რომელიმე ე.წ. კულტურულ ღონისძიებაზე რომელიმე ე.წ. ხელოვნების მუშაკს რაიმე კრიტიკული ეთქვას ხელისუფლებაზე? გაეკრიტიკებინოს ხელისუფლების რომელიმე ნაბიჯი? ნუთუ ყველაფერი მოსწონთ?

მეექვსე – კულტურის/ხელოვნების ბიუჯეტიდან დაფინანსება კლავს ბუნებრივ სტიმულს ადამიანებში თავად დააფინანსონ ეს მიმართულება და „აფუჭებს“ ბაზარს. რატომ უნდა დაფინანსოს რომელიმე ბიზნესმა რაიმე დაკავშირებული ხელოვნებასთან როდესაც იცის რომ ეს პასუხისმგებლობა უკვე სახელმწიფომ აიღო თავის თავზე? რატომ უნდა სცადონ დამწყებმა ბიზნესებმა რაიმეს კეთება კულტურის/ხელოვნების სფეროში, როდესაც წინასწარ იციან რომ ბაზრის იგივე სეგმენტზე მოულოდნელად შეიძლება შემოვარდეს სახელმწიფო, პრივილეგირებული, სუბსიდირებული ბიზნესით, და იგივე საქმე გააკეთოს, ანუ ფაქტობრივად გაგაგდოს ბაზრიდან? გაიხსენეთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ფესტივალები და კონცერტები.

დაბოლოს, მეშვიდე – კულტურის ბიუჯეტიდან დაფინანსება სინამდვილეში არის კულტურული ელიტის მხარდაჭერა და წახალისება. ადამიანების, რომლებიც საუკეთესო საბჭოთა ტრადიციით გულწრფელად თვლიან რომ კულტურის სფეროში საქმიანობა რაღაც განსაკუთრებულია, რაღაც აღმატებულია, და შესაბამისად უფრო დაფასებული უნდა იყოს ვიდრე სხვა პროფესიები, იქნება ეს დალაქობა თუ მეწაღეობა. ამ ე.წ. „კულტურის მოღვაწეებს“ სჯერათ რომ ჩვენ ყველას, ნებისმიერი სხვა სფეროს ნებისმიერ ადამიანს მათი ვალი გვაქვს იმ უბრალო მიზეზის გამო რომ მათ ნებაყოფლობით აირჩიეს ისეთი პროფესია რომლის პროდუქტსაც ჩვენ ნებაყოფლობით არ ვყიდულობთ. საბიუჯეტო დაფინანსების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ამყარებს მათი აღმატებულობის ამგვარ რწმენას.

სწორედ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ტორესა მოსი აცხადებს, რომ კულტურის დაფინანსება უსამართლოა და ღატაკი მოსახლეობის ფულის კულტურული ელიტების ჯიბეში გაშვება, არაეფექტურია, რადგან ნაცვლად ხელოვნების ხელშეწყობისა, პირიქით, ხელს უშლის ხელოვნების განვითარებას. გირჩისთვის, ასევე, პოლიტიკურად გაუმართლებელია ამ სამინისტროს დაფინანსება, რადგან კულტურის პოლიტიკა ბუნებრივად იქცევა ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტად.

თუ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში ხელოვნებამ დაიბრუნოს თავისი ნამდვილი, პირვანდელი მნიშვნელობა, ტორესა მოსის თქმით, კულტურის/ხელოვნების ბიუჯეტიდან დაფინანსება უნდა შეწყდეს და კულტურის სამინისტრო უნდა გაუქმდეს.

ომბუდსმენი მარნეულის მერს მოუწოდებს, სექსისტური გამონათქვამებისგან თავი შეიკავოს

სახალხო დამცველმა მარნეულის მერ თემურ აბაზოვს მოუწოდა, მომავალში თავი შეიკავოს სექსისტური გამონათქვამებისგან და თავისი საქმიანობისას ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას რეგიონში.

15 ნოემბერს ომბუდსმენი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა მარნეულის რადიოს მიერ გავრცელებული ინფორმაციას და სექსისტურად შეაფასა მარნეულის მერის გამონათქვამები.

„კაჩაგანში მერის პირველი შეხვედრა კაცებთან შედგა“ – ამ სათაურით გამოაქვეყნა მარნეულის რადიომ მერის, თემურ აბაზოვის შეხვედრა მოსახლეობასთან, რომელსაც მხოლოდ კაცები ესწრებოდნენ.

„ალბათ, ამ დროს, შუადღე არის და თავიანთი მეუღლეებისათვის საკვებს ამზადებენ“, – უთხრა მერმა გამოცემის ჟურნალისტს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ქალთა თანასწორობის მხრივ დღესაც ბევრი გამოწვევა არსებობს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კი ქალთა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხია.

– ამის გათვალისწინებით, საზოგადოების თუ თანამდებობის პირების მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება ამყარებს არსებული დისკრიმინაციის წამახალისებელ სტერეოტიპებს ქალისა და მამაკაცის განსაზღვრული როლების შესახებ და ხაზს უსვამს მამაკაცის დომინანტურ მდგომარეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნული კი ქმნის საფრთხეს, რომ ქალები, მომავალში, სქესის გამო უფრო ხშირად დაექვემდებარებიან დისკრიმინაციას. ამასთან, განსაკუთრებით შემაშფოთებელია გენდერულად მჩაგვრელი პრაქტიკის მხარდაჭერა და წახალისება ქალაქის მერის მხრიდან, რომელსაც თავის მხრივ, თანასწორი გარემოს შექმნის ვალდებულება გააჩნია, – აცხადებს ომბუდსმენი გავრცელებულ განცხადებაში.

ნეტგაზეთი

ასტროპროგნოზი

17 ნოემბერი

ვერძი – უმნიშვნელო პრობლემებზე დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. სერიოზული პროვოკაციების დღეა. ემოციები მოთოკეთ. **კურო** – საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვთ. ნუ გაყოყოჩდებით. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** – დისციპლინა, ორგანიზებულობა და თავშეკავება დღის დევიზია. იყავით ტაქტიანი. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი საკმაოდ იღბლიანია. შეინარჩუნეთ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **ლომი** – კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდეთ. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **ქალწული** – ყურადღებით იყავით ფინანსური ოპერაციების შესრულებისას. შემოსავალ-გასავალი გულმოდგინედ აკონტროლეთ. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი გელით. საღამოს ახლობლების მხარდაჭერას მიიღებთ. **ღრიანაკალი** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. სიბრძნე და პრინციპულობა დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ. **თხის რქა** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ზედმეტ ხარჯებს ერიდეთ. მიზნისკენ სწრაფვაში ხელი არ გეშლებათ. **მერწყული** – ახლობლებზე იზრუნეთ. თქვენს პირად საქმეში ნურავის ჩარევთ. ფიზიკური დატვირთვა არასასურველია. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. დაუყოვნებლივ მოაწესრიგეთ საქმიანი ქაღალდები.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ბრიტანული არაყი; 2. ვეგეტატიური უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. მამლების ჩხუბი; 4. ბერძნული ყველი; 5. იაპონური ჭიდაობა; 6. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. უნგრული ღვინო; 16. ფალიაშვილის ოპერა; 18. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 20. თაბახის, წიგნის ზომა; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სოხუმის ძველი სახელწოდება; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. გნოლის, კაკბის, ხოხბის ბარტყი.

თარაზულად: 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. დიდი ძეგლი; 12. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 13. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. ვაშლის ღვინო; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 21. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ანსამბლი; 22. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სოლისიტორი; 2. მატანი; 3. ბარნულა; 4. ლოლუა; 5. სერჟანტი; 6. ჰეკლა; 7. კალორია; 9. შეკელი; 13. დიეზი; 17. ქადა; 18. ლიე.

თარაზულად: 1. სუნიზმი; 3. ბაცილა; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ოსაკა; 12. მარსალა; 14. ატელიე; 15. დმანისი; 16. ტაქსა; 19. ლაზერი; 20. დიონისე; 21. არღანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფოსტა; 2. დრონი; 3. ჰილტონი; 4. გენი; 5. შოვი; 6. ცინიზმი; 9. წულრულაშენი; 10. ალტიმეტრი; 11. პეტრიწონი; 14. ვიშნუ; 16. ფლეში; 18. სტილეტი; 20. კომპასი; 23. ალბა; 24. კოლტი; 25. ტრეკი; 26. დასი.

თარაზულად: 7. ბიფშტექსი; 8. კორონაცია; 12. თოვლი; 13. კენზო; 15. ვერდი; 17. შიო მღვიმე; 19. შაშვი; 21. დიდრო; 22. გნომა; 27. სტრომბოლი; 28. მერსედესი.

თემო საჯაია: „რა გახდა კანონის მიღება სახელმწიფო ენის შესახებ“

მომღერალი თემო საჯაია აბსოლუტურად ეთანხმება ენათმეცნიერ ლევან ღვინჯილიას და აცხადებს, რომ საქართველოში სასწრაფოდ მისაღებია კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

სხვადასხვა დაწესებულებების უმრავლესობა არ აწერს ქართულად სახელწოდებას და პრიორიტეტი ინგლისური ენისთვის აქვს მინიჭებული. რამდენიმე დღეში თბილისში ცნობილი ბრენდის ეიჩ ენდ ემის მაღაზია გაიხსნება. ამ ბრენდის ქართულენოვანმა თარგმანმა „ჰოე და მანი“ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საზოგადოების ნაწილმა მოიწონა ბრენდის ქართულენოვანი თარგმანი, ნაწილმა კი განაცხადა, რომ ბრენდის სახელწოდება სასაცილოდ ჟღერს და ის ქართულადაც „ეიჩ ენდ ემი“ უნდა იყოს.

თემო საჯაია:

– მოქილიკეთა გასაგონად! სანამ რამეზე პირს მოაღებთ, ჯერ გაერკვიეთ საკითხში, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ბრენდის სახელწოდება აბრაზე უნდა იყოს ნათარგმნი და ორივე ენაზე უნდა იყოს თანაბარი ზომის და თანაბრად განათებული. შეწუხდით იმით, რომ კანონი სრულდება??? თუ ის ჯობია, აღმაშენებელზე, სადაც ვცხოვრობ, რომ ვერ ვხვდები, რა წერია რესტორნებზე და კლუბებზე არაბულად, იქნებ გვაგინებენ?! ძალიან მომწონს ეს ამბავი და გეყოთ უაზრო ხორხოცი.

პ.ს. რა გახდა კანონის მიღება სახელმწიფო ენის შესახებ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი ინგრევა



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ინგრევა. ინგოროყვას ქუჩაზე, სახელმწიფო კანცელარიასთან მდებარე შენობის ფოტოებს გოგა ჩანადირი ავრცელებს. ის პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, თბილისის მერ კახა კალაძესა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიორგი შარვაშიძეს მიმართავს, რათა შენობის უმძიმეს მდგომარეობაზე დაფიქრდნენ და შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ:

– პატივცემულო ბატონებო! დააკვირდით პირველ ფოტოს. ეს არნოლდ ჩიქობავაა, დიდი ენათმეცნიერი. მომდევნო წელს 120 წლის იუბილე აქვს. თუმცა, მას არ უნდა ამის აღნიშვნა. მას ურჩევნია, ბზარებს ამოეფაროს, რადგან სირცხვილით იწვის. მისი სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დანგრევის პირასაა. თანამშრომლებს ჭერი ემხობათ და იატაკი ეცლებათ. ერთხელაც იქნება და უბედურება დატრიალდება. თქვენ და ჩვენ ქართულად რომ ვლაპარაკობთ, ენაში დადებითი ძვრები რომ ხდება, ამ ინსტიტუტისა და აქაური მეცნიერების დამსახურებაა. სალიტერატურო ნორმები და 100-ზე მეტი ლექსიკონი რომ გვაქვს, ასე სიღრმისეულად რომ არის შესწავლილი იბერიულ-კავკასიური ენები, ესეც ამ ინსტიტუტის დამსახურებაა. ეს არის ადგილი, სადაც ხელისგულით სატარებელი ადამიანები მუშაობენ. ამ დროს კი რა ხდება? ქალაქის ცენტრში, სახელმწიფო კანცელარიასთან, ინგოროყვას 8-ში მდებარე შენობა მათ თავზე ენგრევათ. არნოლდ ჩიქობავა კი ბზარებს ატუზვია და სირცხვილისგან იწვის. გთხოვთ, გადაარჩინოთ ენათმეცნიერების ინსტიტუტი!

ლაშა შენგელიამ ბერძნული „ნიჭიერის“ ჟიური აღაფრთოვანა

თესალონიკში მცხოვრებმა ქართველმა სპორტსმენმა ლაშა შენგელიამ ბერძნულ „ნიჭიერში“ მიიღო მონაწილეობა და თავისი უნიკალური შესაძლებლობებით ჟიურის სამივე წევრი და მაყურებელი აღაფრთოვანა.

ლაშასთვის სპორტი ყოველდღიურობაა. ის დღეში რამდენიმე საათი ვარჯიშობს და შესანიშნავ ფორმაშია. ლაშამ გადაწყვიტა, ბერძნულ „ნიჭიერში“ მონაწილეობა მიეღო და საკუთარი შესაძლებლობები ფართო საზოგადოებისთვის წარედგინა. ქართველმა სპორტსმენმა დამსწრე საზოგადოებისგან მქუხარე აპლოდისმენტები, ხოლო ჟიურისგან სამი კი მიიღო და შემდეგ ეტაპზე გადავიდა.

მარიტა როხვაძე: „არაფერი გეშველებათ მანამ, სანამ არ ისწავლით თქვენიანის დაფასებას!“

მუსიკალურ პროექტ „ჯეოსტარის“ ერთ-ერთი გამარჯვებული, მომღერალი მარიტა როხვაძე, ქართველებს ნიჭიერი ადამიანების დაუფასებლობისთვის აკრიტიკებს:

– საქართველოში როცა არიან ნიჭიერი ადამიანები, მაშინ ვერ ხედავთ და ვერ აფასებთ. წავა საზღვარგარეთ, მიაღწევს წარმატებას, მისთვის უცნობი ადამიანები იყვარებენ და აფასებენ, თქვენგან განსხვავებით. მერე გამოდიხართ და წერთ, ბევრი ასეთი ქართველი საქართველოსო, ასეთი ნიჭიერები არ უნდა გვტოვებდნენო... რომელ საქართველოს? აქ რომ ჰყავთ ცხვირწინ და ვერავინ ამჩნევთ?! არაფერი გეშველებათ მანამ, სანამ არ ისწავლით თქვენიანის დაფასებას! ნებისმიერ სფეროში!

პ.ს. ვინმე არ გამოხტეთ ცუდად და არ თქვათ, არ ხარ მართალიო, თორე...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რატომ არ აღინიშნება ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე?

4 დეკემბერს 200 წელი სრულდება რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან. თეატრმცოდნე ნოდარ პაპუაშვილი კულტურის მინისტრს კითხვით მიმართავს და ინტერესდება, რა იქნა ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე საქართველოში:

– ბატონო კულტურის მინისტრო, ბარათაშვილის 200 წლის იუბილე რა იქნა საქართველოში?!

„ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჭევანში! ახლა ცა ახალია, დრო ახალია და მოდაში 80 წლის კაცები არიან!“ ეს არის ფრაგმენტი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილიდან.

ამასაც გვერდით უვლიან უკვე?

ქართული მხარე აცხადებს, რომ შოტლანდიაში აფხაზური მემორიალი ადგილზე დაბრუნდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუას სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე შოტლანდიაში იმ აფხაზური მემორიალის საკითხზე მოუწია პასუხის გაცემა, რომელიც ქართული მხარის ჩართულობის შედეგად მოხსნეს.

დავით დონდუა ამბობს, რომ მემორიალის დემონტაჟი ქართულ მხარეს არ მოუთხოვია.

– არავის ჰქონია აზრად, მომხდარიყო ამ მემორიალის ან დანგრევა ან დემონტაჟი, უბრალოდ, ჩვენ მივუთითეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ეს მემორიალი შეიცავდა პოლიტიზებულ სიმბოლიკას და არ იყო შესაბამისობაში იმ პოლიტიკასთან, რომელიც დიდ ბრიტანეთს აქვს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. შესაბამისად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ეს ყველაფერი მოეყვანა შესაბამისობაში, გაესწორებინა, დაეკორექტირებინა. ამ მიზნით მოხდა დროებითი დემონტაჟი, და როცა გასწორდება, თავის ადგილზე დაბრუნდება. კიდევ ერთხელ ვამბობ, არავის უთხოვია მისი მოხსნა ან საერთოდ დანგრევა.

თუმცა, შოტლანდიის ქალაქ კილმარნოკში 90-იან წლებში დადგმული, აფხაზური დროშის ფონზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს დაღუპულთა მემორიალის დემონტაჟის შესახებ 10 ნოემბერს ნეტგაზეთთან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილმა ისაუბრა და განაცხადა, რომ თავად პირადად მონაწილეობდა დიდ ბრიტანეთში, კონკრეტულად კი, შოტლანდიაში გამართულ იმ მაღალი დონის შეხვედრებში, სადაც, ქართულმა მხარემ კილნმარნოკში 90-იან წლებში დადგმული აფხაზური მემორიალის დემონტაჟის საკითხი დააყენა.

აფხაზური მემორიალის დემონტაჟის საკითხს ნეგატიურად არა მხოლოდ აფხაზური მხარე გამოეხმაურა. ამ ნაბიჯისთვის, ქართულმა მხარემ, განსაკუთრებით კი სამშვიდობო პროცესებში ჩართულმა საზოგადოების წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკეს. ისინი ფიქრობენ, რომ მსგავსი ნაბიჯები აფხაზურ და ქართულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას ხელს არ შეუწყობს.

– ის, რაც მოხდა 92-93 წლებში, საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთში, იქ ვინც დაიღუპნენ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, ქართველები იქნებიან ეს თუ აფხაზები, თუ სხვა, ყველა ჩვენი მოსახლეობაა და ჩვენ ყველას ვტირით, ჩვენ ყველასი გვტკივა და ეს არის ჩვენი ტრაგედია. ეს ხალხი დაიღუპა იმ ინსპირირებულ ომში, რომელიც თავსმოხვეული იყო მესამე ქვეყნის მიერ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ აღარ მოხდეს და ადგილზე ესკალაცია და აღარ განმეორდეს ასეთი ტრაგედია, – აცხადებს დავით დონდუა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

პროგრამა

პარასკევი
17 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15, 04.30** ტ/სერ. **"ჩინგო ვეტრინე" 10.00, 03.30** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო" 12.15**"სპორტის დაფა" **12.40**"აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25** ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი" 14.30**დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.30**დოკ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.30** ტ/სერ. **"ჟელვეტი" 18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00**ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო" 20.00** ტ/სერ. **"ელემენტარული" 21.30** "კვირის ინტერვიუ"- ირაკლი აბსანძე **22.00** ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი" 23.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.00**მხ/ფ **"დღის ბოლოს"** (ე.ტომპსონი) **02.05** მხ/ფ **"ელიზიუმი"**(ჯ.ფოსტერი) **05.30** დოკ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **06.30** დოკ/ფ "თოფ-გიარი"

06.30, 16.00 სერ. **"ბუნილი" 07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.25** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. **"ელიფი" 11.20** სერ. **"ფიცი" 12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"ქალაქის გული" 18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"დედა" 22.00** ჩვენ ვარსკვლავები ვართ **00.30** მხ/ფ **"გვერდიფი მოვლენები" 02.30** მხ/ფ **"მილიონერი ღარიბთა უბნიდან" 04.40** მხ/ფ **"დივერსია"**

06.00, 18.50 სერ. **"დესპოტი ქმარი" 07.00, 20.03** სერ. **"დედამიწა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი" 12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიპას საიდუმლო" 15.30** სერ. **"მზიანი დღეები" 16.55** სერ. **"ბზარი" 22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 25 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ **"ვარსკვლავური ომები-2" 09.00** სერ. **"შავი კოდი" 11.00** მხ/ფ **"ცხოვრების გემო" 13.00** სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები 5" 17.00** სერ. **"სამხედროების ცოლები 4" 19.00** სერ. **"ციხფერი სისხლი-5" 21.00** სერ. **"ულრჯის ელფერი" 22.00** მხ/ფ **"კოლუმბიანა" 00.10** მხ/ფ **"რიბუალი" 02.10** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი" 04.10** მხ/ფ **"დაბადება" 06.00** მხ/ფ **"პარანორმალური მოვლენები"**

tv პირველი 7.55 ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. **"ცხოვრების გზა" 13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00, 6.00** მხ/ფ **20.00** პირველები **23.00** ავტორბოლა **23.30** ღალატი

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. **"ბანდოლერა" 10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ" 19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. **"გაქცეულები" 22.00** სერ. **"ჯადოსნური ამბავი" 23.00** ღია სტუდია **00.00** მხ/ფ " **მხოლოდ მამაცები" 3.45** ცენზურის გარეშე

06.15 კვირიაკე **07.10** ქრისტიანული ხელოვნება "ქართული ხუროთმოძღვრება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-კიონეანგის სილოები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ტრაპეზი "ლობიო პამიდვრით" **10.25** თბილისის ტაძრები "მეტეხის ტაძარი" **10.35** ბავშვები მუზეუმში "აბრეშუმის მუზეუმი" **11.10** ერთსულოვანი ოჯახი "დემეტრაშვილები" **12.05** მხ/ფ **"აკაკის აკვანი" 13.30** ან/ფ "ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში" **15.05** ქართული ან/ფ **15.20** გადაცემა-ოპერა "სტეფალიო"I, II **17.30** გზა, რომლითაც ვიარე "გალაკტიონ ტაბიძე" **18.10** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია..."აბაშა" **18.25** თვენი "წმინდა სტეფანე ხირსელი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"აბეზარა" 20.40** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **21.35** ჩვენი ფონდი "ვახტანგ მაჭავარიანი, მოგონებები" **2** ნაწ. **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "მანგლისის შემოგარენი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გზა, რომლითაც ვიარე "დავით ანდღულაძე" **23.45** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** სიახლენი **00.35** დ/ფ "გზა" **2** ნაწ. **01.30** მხ/ფ **"ბიძაჩემი"**

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მთავარი თემა (პირდაპირი)

პროგრამები იბეჭდება საააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6955	ევრო — 3.192
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5467	100 რუსული რუბლი — 4.4719

ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისთვის

9 ნოემბრიდან



ალექსანდრე ელისაშვილი
თბილისის თავგადასავალი

„ასეთ წიგნს დიდხანს ველოდი. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, მე თვითონ დამეწერა, ყველასთვის გასაგებ ენაზე მომეთხრო თბილისის თავგადასავალი“ – ამბობს ავტორი.

წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

14 ნოემბრიდან

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკუღმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

16 ნოემბრიდან



რომან გვენცაძის
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ბარსელონამ კრისტიან ერიქსენს დაადგა თვალი

ბარსელონამ ტოტენჰემის დანიელ ნახევარმცველ კრისტიან ერიქსენს დაადგა თვალი, რომელმაც ირლანდიასთან შეხვედრაში 3 გოლის გატანა შეძლო და, შეიძლება ითქვას, მარტომ გაიყვანა თავისი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ერიქსენის მიმართ ინტერესს, ბარსელონის გარდა, კიდევ ბევრი გუნდი გამოხატავს, თუმცა დანიელი ფეხბურთელის ყიდვა რთული იქნება, რადგან, ტოტენჰემის პრეზიდენტის თქმით, ის ერიქსენს 200 მილიონზე ნაკლებად არ დათმობს.

ბარსელონა ამ თანხის გადახდას არ აპირებს, ამიტომ ეს ტრანსფერი შესაძლოა არ შედგეს. ბარსელონის მთავარი სამიზნე ზამთარში ფილიპე კოუტინიო იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, კატალონიური გუნდის ფეხბურთელი გახდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

კაფეში კლიენტი ბარმენს შეკვეთას აძლევს:

– თუ შეიძლება, ყავა სიგარეტით!

– გავაზავო?

•••

კახელი ქუჩაში დუქნის წინ ზის და ვერ გადაუწყვეტია, დალიოს თუ არ დალიოს. ამ დროს მიცვალებულს ჩამოატარებენ. კახელი ერთ-ერთ ჭირისუფალს გააჩერებს და ეკითხება:

– რით გარდაიცვალა ცხონებული?

– სვამდა, ჭამდა, სიგარეტს ეწეოდა, ქალებში დადიოდა, გულმა ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა, – უპასუხა ჭირისუფალმა.

კახელი ჩაფიქრდა, ხუთი წუთის შემდეგ მეორე პროცესიამ ჩამოიარა. ერთ-ერთი ჭირისუფალი ისევ შეაჩერა და იგივე კითხვა დაუსვა:

– რით გარდაიცვალა?

– რა ვიცი, არ სვამდა, სიგარეტს არ ეწეოდა, ქალებში არ დადიოდა, ალბათ, ორგანიზმი დაუსუსტდა, ამიტომ გარდაიცვალა, – უპასუხა ჭირისუფალმა.

კახელი წამოხტა და მედუქნეს გასძახა:

– ჯოო, დაასხი, ამის დედაც, ხუთი წუთი გინდ იქით და გინდ აქეთა...

•••

ბიჭი ქუჩაში გამვლელ გოგონას ეუბნება:

– გოგონი, რამდენი წლის ხართ?

– იმდენის, რამდენადაც გამოვიყურები, – კეკლუცად პასუხობს გოგონა.

– არ არსებობს, ადამიანები ამდენ ხანს ვერ ცოცხლობენ!

•••

სახლში დაბრუნებული შვილი დედას ეუბნება:

– დედი, დედი, კლასში გამრავლების ტაბულა ყველაზე კარგად მე ვიცი, ხომ ჭკვიანი ვარ?

– ნიჭიერი ხარ, აბა რა, შვილო, – პასუხობს დედა.

– სკოლაში სამედიცინო შემოწმებაზე იყვნენ და ყველაზე დიდი მე აღმოვჩნდი, რატომ, დედი?

ამ დროს მეორე ოთახიდან მამამ გამოჰყო თავი და შვილს ეუბნება:

– იმიტომ, რომ უკვე 32 წლის მუტრუკი ხარ და ისევ სკოლაში დადიხარ, შენი უტვინო დედაც!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

10 ნოემბრიდან



ანდრეს ინიესტა
შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

კარლო ანჩელოტის იტალიის ნაკრებში ეპატიჟებიან

იტალიის ნაკრებში ცვლილებებია და ჯანპიერო ვენტურა მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ოფიციალურად გაათავისუფლეს.

საფეხბურთო ფედერაცია აქტიურად ეძებს ვენტურას შემცვლელს და მათი ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი კარლო ანჩელოტია, რომელიც ამჟამად ფეხბურთისგან ისვენებს. ანჩელოტის უკვე ესაუბრა ფედერაციის პრეზიდენტი კარლო ტევეკიო და, სავარაუდოდ, ანჩელოტი იტალიაში უახლოეს დღეებში დაბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, რაც ამ ქვეყნისთვის უდიდესი ტრაგედია და სირცხვილია.

იურგენ კლოპი ვარჯიშის დროს შეუძლოდ გახდა

ლივერპულის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი ოთხშაბათს გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს შეუძლოდ გახდა, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ამის მიზეზი, თუმცა კლოპმა საავადმყოფო მალევე დატოვა და ლივერპულს დაუბრუნდა.

შაბათს ლივერპული საკუთარ მოედანზე საუთჰემპტონს მიიღებს და, სავარაუდოდ, კლოპი თავის ადგილზე იქნება.

ლივერპულს წინ საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩები ელის და გუნდს შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვს, რადგან ლივერპულმა სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო.

პერუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს

პერუს ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ახალი ზელანდია დაამარცხა ანგარიშით 2:0 და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშიც გაინაღდა.

აღსანიშნავია, რომ პერუმ ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატზე 1982 წელს ითამაშა, ხოლო ამის შემდეგ 36 წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა მუნდიალზე გასვლას. შეიძლება ითქვას, რომ პერუსთვის ეს უდიდესი წარმატებაა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორი გუნდები ვერ მოხვდნენ მუნდიალზე.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა; 2. პატარა მოთხრობა; 3. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. ხარის, კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვინის, წყლის საზიდი ძველებური ჭურჭელი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ფრანგი ფილოსოფოსი; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

თარაზულად: 1. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 3. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. შრი-ლანკას ძველი სახელწოდება; 11. ბოსტნეული მცენარე; 12. ბალეტ „დონ კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 14. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 15. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 16. განათებულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 20. ცნობილი ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა